ცნობის ფურცელი

ფასი ერთი დღისა: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებლად—60 კ. დამატებით—75 კ., ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ფრეილინის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცელისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვში და პეტერბურგში.

№ 2630
სამშაბათი, 5 ოქტომბერი
1896–1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დაუბეჭდავი წერილები რედაქციის ხარჯით არ [illegible] მოიგზავნება.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-მდე საათამდე. დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ტელეგრ. ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“. ტელეფონი № [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქნეინა ალექსანდრა სვიმონის ასული წერეთლისა, გრიგოლ, მიხაილ და სამსონ სვიმონის ძენი ჯაფარიძენი და თავადი გიორგი ვარდენის ძე წერეთელი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას პირველნი უძვირფასესის მამისა და უკანასკნელი საყვარელის სიმამრისა

აზნაურის სვიმონ ივანეს ძის ჯაფარიძისა,

რომლის გასვენება იქნება ექვსა რიცხვსა ამა ოქტომბრის თვის, 1904 წელსა, ათს საათზედ დილით თვის საკუთარის სახლიდან სავანის წმინდის გიორგის ეკკლესიაზედ.
(1—3854—1)

დ. ნაღალევში (სენაკის მაზრა)

(1—3?6—1)

ჩოჩუას და **რევიას** მიერ ქალაქის საიჯარო ბულვარზე უძლეველ ფალავანის ნესტორ ესებუას თაოსნობით ამა 1904 წ. 8-დან 25 ოქტომბრამდე, ორ-სამ დღეში ერთხელ საინტერესო დიდი ქართული

ჭ ი დ ა ო ბ ა,

როგორც ქართველებისა, ისე რუსების სახელოვანის ფალავნებისა, რადგანაც გამოწვეულნი არიან ყოველ კუთხიდან, აგრეთვე ცნობილი **ნესტორ ესებუა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ ვისაც სურს, მოჭიდავეებ შორის შეუძლიანთ ჩაეწერონ მასთან საჭიდაოთ და ვინც დაეჭიდება ესებუას და დასცემს, ის მიიღებს ჯილდოთ 100 მანეთს. აგრეთვე ყოველ საღამოთი ბულვარზე იქნება დიდი სეირნობა და დაუკრავს **დაფა-ზურნა** და **მუსიკა**. ითამაშებენ ლეკურის მოთამაშენი. მაზხალების ასროლა და სხვა-და-სხვა საუცხოვო სანახავები. ჭიდაობა დაიწყება ნაშუადღევის 3 საათიდან.
გამგე ნ. ესებუა.

ხაზინის თეატრი. ანტრეპრიზა სიიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
სამშაბათს, 5 ოქტომბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება **„ბალ-მასკარადი“** ოპერა 4 მოქ., მუს. ვერდისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ანტონოვა, ტომკეევიჩი, შირუცკაია; ბ-ნნი სიკარინსკი, ობრაზცოვი. დემიანენკო, ზელინსკი.
კაპელმეისტერი მიკლაშევსკი. ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
6 ოქტ. „აიდა“. გამგე ი. ა. კელლერი.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

მ. ტ. მუღდინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

დ. ი. კამოიძე.—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.

დ. ი, კიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მს. ქალი მ. ქ. თოხაძიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

მ. ა. ზიიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირათ. 1—2 საათამდე.

მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—2 საათ ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

მრ. მ. ხოზოლდიმბძე.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.

საღამოთი:

ნ. მ. ხოზოლდიმბძე.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში ოპერაციები შერიგებით, კომპლექტები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № [illegible]. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 B. (?)
ტელეფონი № 274.

ექიმი
ქ. ნ. თეთრაძე
მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. სუდებნაია, № 24, აფთიაქის თავზე. (30—332—6)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყურხანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთაისში, ექიმი
მიხეილ ივანეს ძე ჩხენკელი
მიიღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს, ტფილისის ქუჩა, სამსონ აბდუშელიშვილის სახლი. (30—6—17)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
დაბრუნდა და განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. მიხაილოვის პროსპექტი, მანველოვის სახლში, № 30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—26)

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—5.—16)

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი
გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, მდივნის სახლში № 12, „კრუჟოკის“ გვერდზე. მიიღებს ავადმყოფებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7, კვირაობით 9—12 საათამდე. (30—5.—28)

ქუთაისში, კბილის ექიმი **ა. ვ. მახარაშვილი,**
გადავიდა მურალოვის სახლში, ბულვარისა და ქალების გიმნაზიის პირ-და-პირ. (6—3799—6)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქ., № 38).
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-ჟამა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—10—1-დის.

პანსიონი
ელისაბედის ქუჩა, № 71 ისარლოვისეული სახლი
ალექსანდრა გიორგის ძე
მირზაშვილისა.
მიიღებიან ყმაწვილები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საშუალო სასწავლებლებში. (150—218—67)

ექიმი
ვ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულის და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154. ტელეფონი № 825. (90—295—17)

საარტისტო საზოგადოების შენობაში პირველ-ხარისხოვანი რესტორანი
„ანონნა“
ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი. ყოველ დღე დაუკრავს ცნობილი
რუმინელთა ორკესტრი
დღისით 2-დან 5-მდე, საღამოთი 9-დან 2 ს.-მდე. სასტუმროს პატრონი **ი. ტ. ბონდარენკო.**
(4—339—1).

თხზულებანი
ია ეკალაძისა
იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. (5—5.—2)

ბათომში კბილის ექიმნი:
მიხაილ მალაქიას-ძე მენაღარიშვილი და **მინა ნიკოლოზის ასული მენაღარიშვილისა**
გადავიდნენ:
შეპელევის ქუჩაზე, სამოქალაქო სასწავლებლის პირდაპირ ლაზარევის კუთხის სახლებში ნურიაში.
გახსნილი არის ორი განკერძოებული კბილის საექიმო კაბინეთი.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9 საათ. 2 საათამდის და საღამოს 4 ს-დან 8 ს-დის. კვირა დღეობით კი 9 საათ. 12 საათ., საღამოობით 5 საათ. 8 საათამდის.
შეგირდებს, მუშებს, მოსამსახურეებსა და აგრეთვე ყველა მსურველთ შეღავათიანის სასყიდლით: 50% დაკლებით ჩვეულებრივ ფასებზე. (0—3819—2)

ოთხშაბათს, 6 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სამხედრო შტაბის სადგომში, მოხდება ჩვეულებრივი **საზოგადო კრება** კავკასიის საიმპერატორო საგეოგრაფო საზოგადოებისა. კრება განიხილავს: 1. კ. ნ. სმირნოვის მოხსენებას ჩრდილოეთ-ქურდისტანში მოგზაურობის შესახებ; 2. წევრთა არჩევანი. კრება საჯაროა. შესვლა უფასოდ შეიძლება. (3—უ.—3)

საჭიროა
მასწავლებლები
„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სკოლებისათვის
გომარეთსა და ყალამშიაში (ბორჩალ. მაზ.)
მასწავლებელს ექნება გომარეთში ჯამაგირი 35 მან. თვეში და ბინა, ყალამშიაში—30 მან. და ბინა.
მსურველთ უნდა წარმოადგინონ ტფილისში, „საზოგადოების“ კანცელარიაში, თხოვნები და დოკუმენტები. (2—უ.—1)

გამოვიდა და იყიდება ყველგან
ნაწერები ს. მესხისა
გამოცემა ს. ფირცხალავასი
ტ. 1. ფასი 1 მან.
საწყობი „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მაღაზიაში.

ოქტომბრიდან ხელ-ახლად გამოვა
საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
„ჯეჯილი“
იმავე პროგრამით და იმავე რედაქტორობით. წლიური გამოცემის ფასი 4 მან. ქალაქ გარედ 5 მან.

სანერგე დამყნილი ამერიკული ვაზისა (სხვილის). დაიბეჭდა ახალი პრეისკურანტები სანერგისა და მსურველს შეუძლიან გაიწეროს. ადრესი: Квирилы, Георгію Чивадзе. (10—3822—1)

შ. არაგვისპირელის
მესამე წიგნი
იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში. (5—5—3)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
3 ოქტომბერი

მუკდენი, 3 ოქტომბერი („რეიტერი“). 2 ოქტომბერს ცოტა ხანს ბრძოლა მიწყნარდა, მაგრამ დღეს ისევ განახლდა რუსის ჯარის მარჯვენა ფრთეზე, მუკდენის სამხრეთ-დასავლეთით, ამ ქალაქიდან 16 კილომეტრის მანძილზე. დღეს უკვე გამოირკვა, რომ იაპონელები ვერ მოახერხებენ რუსების მოვლას და იმათთვის გზის მოჭრას. ეხლანდელი ბრძოლები უფრო დიდი და ცხარეა, ვიდრე ლიაოიანისა იყო. დღეს რუსებმა იერიში მიიტანეს იაპონელთა მარჯვენა ფრთეზე.

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. მოსკოვში მოვიდა შორეულ აღმოსავლეთიდან რუსის კონსული ვ. ფ. გროსსე. კონსულმა სთქვა: როდესაც რუსები ინკოუდან წავიდნენ, ხუთის საათის შემდეგ იაპონელები შემოვიდნენ ქალაქში. იაპონელები თავდაჭერილად იქცეოდნენ. მათ კონსულებს მოუწოდეს და თათბირი გამართეს. კონსულებს უნდა გამოერკვიათ ქალაქის საზოგადო ვითარება. იაპონელებმა გროსსეც მიიწვიეს, მაგრამ ის არ წასულა. უპირველესს ყოვლისა იაპონელებმა დამოენაზე რუსის დროშის ნაცვლად თავიანთი აღმართეს. დამოენას ერთ მილიონ მანეთამდე მოჰქონდა. იაპონელებმა განკარგულება მოახდინეს, რომ გროსსეს ეზოში არც ერთი იაპონელი არ შესულიყო. უცხოელი კონსულები მეგობრულად დახვდნენ იაპონელებს. შეერთებულ შტატების წარმომადგენელი თავდაჭერილად იქცეოდა. სიცრუეა გაზეთების მიერ გავრცელებული ამბავი, ვითომ ჩინელებს სადილი გაემართოთ იაპონელებისთვის. გროსსე ინკოუდან პეკინს წავიდა, ხოლო იქიდან მუკდენს.

ჩელიაბინსკი. იმ გაჭირვებამ, რომელშიაც იმიერ-ბაიკალის მხარე ჩავარდა რკინის გზით საქონლის გზავნის შეჩერების გამო, დაბადა ახალი სპეკულიაცია: ვაჭრობენ მთავარ-შტაბისაგან მიღებულ მოწმობებით, რომლებითაც საქონლის წაღებაა ნება-დართული.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
3 ოქტომბერი

ხარბინი, 3 ოქტომბერი. ცნობა მიიღეს, რომ 30 სექტემბერს ღამით იაპონელები დიდის ჯარით დაეცნენ ერთ რუსის კორპუსს სადგურ შახეს აღმოსავლეთით; რამდენჯერმე მიიტანეს იერიში და სანამ რუსებს მაშველი ჯარი მოუვიდოდათ, იაპონელებმა რუსის შუა ჯარი გაარღვიეს და 24 ზარბაზანი ჩაიგდეს ხელში. მაშველი ჯარი რომ მოუვიდათ, რუსებმა გამწვავებულის ბრძოლის შემდეგ მტერი განდევნეს, მაგრამ იაპონელებმა წართმეული ზარბაზნებიც თან წაიღეს. რუსის კორპუსმა წინანდელი პოზიცია დაიჭირა. რუსები და იაპონელები ყველგან მედგარ ბრძოლას განაგრძობენ.

ტოკიო, 3 ოქტომბერი. გენ. ოკუს არმიამ 80 კაცი დაატყვევა და ცამეტზე მეტი ზარბაზანი წაართო რუსებს. მარჯვენა (გენ. კუროკის) და შუა (გენ. ნოძუს) არმიებმა იმ ადგილებს მიაღწიეს, საიდანაც მდინარე ხუნხესაკენ გაილაშქრებენ და იქ მდგომ რუსის ჯარს დაეცემიან. რუსის ჯარი მდინარე ხუნხეზე 25 მილის სიგრძეზე დგას ფუშუნის მხარეს. აქ საეჭვოდ მიაჩნიათ, რომ რუსებმა დიდხანს გაუწიონ წინააღმდეგობა იაპონელებს, რადგან იაპონელები მეტად მედგრად სდევნიან. იაპონელი მზვერავები მთის ოლქებში გაჩნდნენ ჩრდილოეთისაკენ.

სასებო. იაპონელი კორესპონდენტები იუწყებიან გენ. ოკუს არმიის მთავარ სადგომიდან: რუსებმა მდინარე შახეზე ხიდები დაანგრიეს, იაპონელებმა ხელახლად ააგეს, მდინარეში გავიდნენ და 8 ზარბაზანი ჩაიგდეს ხელში. მარცხენა (გენ. ოკუს) არმიამ 6 რუსის აფიცერი და 836 მოკლული სალდათი დაასაფლავა.

ბერლინი, 3 ოქტომბერი. „ლოკალ-ანცაიგერ“-მა დაბეჭდა თავის კორესპონდენტის დეპეშა, 2 ოქტომბერს მუკდენიდან გამოგზავნილი. რუსები ნელ-ნელა იწევენ უკან და წინააღმდეგობას უწევენ მტერს, რათა დაუშალონ რუსების ჯარის გარღვევა. ტუმინლინის უღელტეხილი, რომლიდანაც პირდაპირი გზაა იაპონელთა უმთავრეს პოზიციებისკენ იანტაის ახლოს, ჯერ-ჯერობით ისევ რუსების ხელშია. დასავლეთის მხარეს მყოფ რუსთა რაზმების უკან დახევა საჭირო იყო. განსაკუთრებით აღნიშნეს ვიბორგის პოლკის მამაცობა.

ბერლინი, 3 ოქტომბერი. „კელნიშე ცაიტ.“-ს დეპეშით აუწყებენ ლონდონიდან: „იაპონელთა გამარჯვებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, მით უმეტეს, რომ შესაძლებლად სცნობდნენ რუსების გამარჯვებას, ამ აზრს ამყარებდნენ არა მარტო კუროპატკინის ბრძანების მტკიცე კილოზე, არამედ ფიქრობდნენ აგრეთვე, რომ იაპონელები ვერ გაუძლებდნენ ველზე უფრო მრავალ-რიცხვოვან რუსის კავალერიას და არტილერიას.

ტოკიო, 3 ოქტომბერი. კუროკისა და ნოძუს არმიებმა მიაღწიეს წინდაწინვე აღნიშნულ ადგილებს.

ტოკიო, 3 ოქტომბერი. იაპონელები ენერგიულად სდევენ რუსებს, რომელნიც უკან იწევენ.

ტოკიო, 3 ოქტომბერი. ნაშუადღევს განაგრძეს ცალ-ცალკე ბრძოლები. ოკუს არმიამ 2 ოქტომბრამდის 3,500 კაცი დაჰკარგა. 1 ოქტომბრამდის ოკუს არმიამ დაასაფლავა 2 ათასი რუსის გვამი. ოკუმ ხელში ჩაიგდო 80 რუსის ტყვე და ოცდა ათზე მეტი ზარბაზანი.

(ღამის დეპეშები იხ. მე-3 გვერდზე)

უცხოელ-გაზეთებიდან

ომის ამბები. მანჯურიის მეორე არმიის უფროსს გენ.-ად. გრიპენბერგს უთქვამს ფრანგულ გაზ. „პტი პარიზიან“-ის პეტერბურგელ კორესპონდენტისათვის: ხვალ ვილნოში დავბრუნდები და იქიდან პირ-და-პირ მანჯურიაში წავალ. ჯერ არ ვიცი, სად დაბინავდება მეორე არმია. სანამ გენ. კუროპატკინს არ დავეკითხები, ვერას გადავწყვეტ. იმედი მაქვს, გენ. კუროპატკინის დახმარებით ცოტა რამ საქმე გავარიგო მანჯურიაში. სამხედრო მოქმედების ასპარეზზე ხუთის კვირის შემდეგ წავალ. ამაზე მეტს ვერას გეტყვით. („რ.“).

ადმირალ ვირენიუსს 21 სექტემბერს გადაჭრით ეთქვა „ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტისათვის: დიდ ოკეანის მეორე ესკადრა ადმირალ როჟდესტვენსკის უფროსობით მომავალ კვირას წავა შორეულ-აღმოსავლეთსაო. („რ.“),

„ეკო დე პარი“ იუწყება: დიდ ოკეანის მეორე ესკადრა შორეულ აღმოსავლეთს ორ რაზმად წავა. ნაღმიანი გემები სუეცის არხზე გაივლიან, დიდი გემები-კი სამხრეთ აფრიკას მოუვლიან გარსაო. („რ. ვ.“).

ცნობილი პოდპოლკოვნიკი სპირიდონოვი მატარებლების დაჯახების დროს დაშავდა და სადგურ შახედან მუკდენს დაბრუნდა. („რ. ს.“).

კავკასიელთა ბრიგადის ერთი სოტნა ესაულ კუსოვის უფროსობით სოფ. უჩაძის მიუახლოვდა. კუსოვს ეგონა, რომ ამ სოფელში რუსის ჯარი იდგა, იქითკენ გაემართა და ხეობაში იაპონელებს წააწყდა. იაპონელებმა თოფი დაუშინეს სოტნას და 15 კაცი და 23 ცხენი დაუჭრეს. ესაული კოსოვიც დაჭრილია. სოტნამ მაშინვე უკან დაიხია. („რ. ს.“).

„დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი იუწყება: ამას წინად რუსებმა მუკდენში ფული გაგზავნეს, მაგრამ ეს ფული გზაში ყაჩაღებმა მოიტაცესო. („პ. ვ.“).

„რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი ს. კ. სწერს: როგორც ბოლოს აღმოჩნდა, იაპონელებს ლიაოიანთან სულ 250 ათასი ჯარის-კაცი ჰყოლიათ, გენ. კუროპატკინს 210 ათასი, ასე რომ მარშალ ოიამას ჯარი მხოლოდ 40 ათასის კაცით სჭარბობდა რუსისას; სამაგიეროდ რუსის ჯარი მეტად მაგარ ფორტებში იდგა; მით უფრო საკვირველია, როგორ აიღეს იაპონელებმა ლიაოიანი. აქედან სჩანს, რომ იაპონელები უფრო მედგარი და მრისხანე მტერი ყოფილან, ვიდრე აქამდე ეგონათ.

ზოგი ამტკიცებს, ლიაოიანთან იაპონელებს რუსებზე ნაკლები ჯარი ჰყავდათო. („ნ. დ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი იუწყება: რუსებს ლიაოიანთან ბრძოლის დროს 100 აფიცერი და 4 ათასი სალდათი მოუკლეს და 442 აფიცერი და 13 ათასი სალდათი დაუჭრეს, სულ 542 აფიცერი და 17 ათასი სალდათი მოუკლეს და დაუჭრესო. ზოგი ამბობს, ლიაოიანთან გაცილებით მეტი ზარალი მოუვიდათ რუსებსაო. („რ. ლ.“).

„რუსკია ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი იუწყება: ამბობენ, ლიაოიანში რუსებმა თითქმის 2 მილიონის პროვიანტი (საკვები სურსათი) დასწვესო.

„ვესტონი ვესტნიკ“-ის კორესპონდენტი სწერს: იაპონელებმა ლიაოიანთან ბრძოლის პირველსავე დღეს, ესე იგი 17 აგვისტოს, გვერდიდან მოუარეს რუსის მარჯვენა ფრთესაო. („ნ.“).

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი სწერს: 13 აგვისტოს სინცინტინს (ლიოჩენს) ახლო იაპონელებმა ერთი რუსის სალდათი იპოვეს თავში დაჭრილი. იაპონელმა აფიცერმა იარა შეახვევინა ამ სალდათისათვის, 5 იენი (იენი—97 კაპ.) აჩუქა და ჩინელებს საკაცით წააყვანინა რუსის რაზმთანაო. („ნ. ვ.“).

ამას წინად იაპონელებს პორტ-არტურს ახლო დიდის დელვის დროს კანონირი გემი „ხეიენი“ დაელუპათ ნაღმისაგან. „ხეიენი“ პირველ რანგის კანონირი გემი იყო, გერმანიაში იყო აშენებული, წყალ-წყვა 2,100-ტონა ჰქონდა, საათში 11 მილს გადიოდა, 15 ზარბაზანი ჰქონდა გოჩკისისა და არმსტრონგისა და 4 სანაღმე აპარატი. „ხეიენ“-ის დაღუპვა სათქმელ ზარალს არ შეადგენს იაპონიის ფლოტისათვის. („რ.“).

გენ. კუროპატკინის გალაშქრება სამხრეთისაკენ. 22 სექტემბერს რუსის არმიამ, გენ. კუროპატკინის ბძანებით, მუკდენიდან სამხრეთისაკენ გაილაშქრა. მოწინავე რაზმები ადრევე გაემართნენ ქვევითკენ; ცხენოსანი რაზმები 21 სექტემბერს სადგურ იანტაიმდე ჩავიდნენ. რუსის უმთავრესი ჯარი მდინარე ხუნხეს მარჯვენა პირად იდგა; 22 სექტემბერს მარცხენა ნაპირზე გადავიდა და სხვა-და-სხვა გზით სამხრეთისაკენ გაემართა. ერთი დიდი რაზმი რკინის გზის პირად გაემართა, მეორე ფულინის გზით ბანიუპუზასაკენ; ალბად, მდინარე ხუნხეს პირადაც გაიგზავნებოდა ჯარი. ფულინის გზაზე წასულმა რუსის რაზმმა 24 სექტემბერს ბანიუპუზა დაიჭირა; გენ. კუროკის რაზმმა ბანიუპუზადან სამხრეთისაკენ დაიწია და საშიძოიციში დადგა; ამავე დროს რუსის მეორე რაზმმა რკინის გზის პირად სადგური შახე დაიჭირა, მუკდენიდან 20 ვერსის მანძილზე; მდინარე შახეზე იაპონელებს ხიდი დაენგრიათ, რუსებმა ხელ-ახლად ააშენეს და 24 სექტემბერს გაღმა გავიდნენ. ასე რომ რუსის ჯარი 25 სექტემბერს შახესა და ბანიუპუზასთან იდგა და იაპონელების უმთავრეს ჯარს 20 ვერსტის მანძილზე მიუახლოვდა. რუსის რაზმმა 25 სექტემბერს წინ გაილაშქრა და 26 სექტემბერს იაპონელებს სადგურ შილიხესთან შეებრძოლა. („ნ. დ.“).

„რუს“-ს დეპეშით ატყობინებენ მუკდენიდან: 26 სექტემბერს იაპონელებმა ყველგან სამხრეთისაკენ დაიწიეს; რუსის მოწინავე ჯარი იანტაის სადგურს 4 ვერსის მანძილზე მიუახლოვდა, მაგრამ იაპონელებს მაშველი ჯარი და არტილერია მოუვიდათ და იანტაის ჩრდილოეთით პოზიციებზე გამაგრდნენ. 27 სექტემბერს რუსის ჯარმა მთელი დღე ბრძოლაში გაატარა; ბრძოლა არც ღამით შემდგარა. 27 სექტემბერს იაპონელები არა თუ უკან აღარ წასულან, პირიქით, წინ წამოვიდნენ, რუსებზე იერიში მოიტანეს

და რუსის პოზიციებს მარჯვედ დაუშინეს ზარბაზანი; რუსებმა საღამოთი უკან დაიხიეს და მდინარე შილიხეს გაღმა გავიდნენ. 28 სექტემბერს დილით რუსები ისევ გავიდნენ შილიხეში და ეხლა იანტაიდან 4 ვერსტის მანძილზე, ჩრდილოეთით, გამწევავებით ებრძვიან იაპონელებს. („რ.“).

გენ. კაშტალინსკიმ და გენ. რენენკამფმა თავიანთი რაზმებით გენ. კუროკის მარჯვენა ფრთას გვერდიდან მოუარეს და ფინშუანჩენის გზაზე გავიდნენ. („რ. ს.“).

გენ. შტაკელბერგის პირველი კორპუსი გენ. კუროკის წინააღმდეგ გაიგზავნა ბანიუპუზასაკენ. („რ. ლ.“).

„ბირჟევია ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი იუწყება: 28 სექტემბერს იანტაის ჩრდილოეთით საშინელი ბრძოლა დაიწყო, ისეთი საშინელი ზარბაზნის სროლა ასტყდა, რომ დედამიწა ინძრეოდაო. („ბ. ვ.“).

„მატენ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი ლეგრუ დეპეშით იუწყება: გენ. კუროპატკინმა პეტერბურგიდან მიღებულ ბძანების თანახმად გაილაშქრა სამხრეთისაკენაო. („ნ. დ.“).

„ბერლ. ლოკალ ანცაიგერ“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: ნამესტნიკი გენერალ-ადიუტანტი ალექსეევი ამ ჟამად რუსის არმიასთანააო. („ნ. დ.“).

„რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი ლოდიჟენსკი იუწყება: 28 სექტემბერს სადგურ შახეზე ნამესტნიკის შტაბის უფროსი გენ. ჟილინსკი ჩამოვიდა, მაშინვე მე-17 კორპუსის უფროსი გენ. ბილდერლინგი ნახა სოფ. ლიძეში და იქიდან ცხენით პოზიციებზე წავიდაო.

სამხედრო მიმომხილველები მომეტებულ ნაწილად ამტკიცებენ, გენ. კუროპატკინს მეტი ჯარი ჰყავს, ვიდრე მარშალ ოიამასაო. უამისოდ გენ. კუროპატკინი იაპონელებზე იერიშის მიტანას ვერ გაჰბედავდაო. („ნ. დ.“)

„რუს“-ის კორესპონდენტი იუწყება: რუსის სალდათები მეტად გახარა სამხრეთისაკენ გალაშქრებამ. ერთმა ახალ ბრძოლის დროს დაჭრილმა უნტერ-აფიცერმა მიამბო: „ჩვენ სალდათებს მარტო იმისი ეშინიანთ, რომ თუ ისევ უკან დაგვახევინონ უფროსებმაო. განა ჩვენ ვაჯობებთ იაპონელებს? ვკითხე უნტერ-აფიცერს.—„როგორ ვერ ვაჯობებთ: ჯარი ბევრი გვყავს; ჩვენ სალდათებსაც ბრძოლა სწყურიანთ. ყველა ნატრობს, ერთი იაპონელებს შეგვახვედრაო. იმიტომ რომ ყველას შინ წასვლა ჰსურს, და თუ იაპონელები ვერ დავამარცხეთ, როგორ დავბრუნდებით შინაო“,—მიპასუხა ყოჩაღმა უნტერ-აფიცერმა. მაინც აქ ყველას ერთი სურვილი და ერთი ნატვრა აქვს:—მტერი დაამარცხოს და გამარჯვებული სამშობლოში დაბრუნდეს. აქ ყველა ერთხმად ამბობს: თუ არ გავიმარჯვებთ, შინ ვერ დავბრუნდებითო. („რ.“).

გენ. კუროპატკინის ბძანებამ რუსული პრესაც ძლიერ გაახარა. „რუს“-ი, „ნოვოე ვრემია“, „რუსკოე სლოვო“ და სხვა გაზეთები სიხარულით სავსე წერილებს უძღვნიან გენ. კუროპატკინსა და ალტაცებით გზას ულოცვენ. რუსულ პრესას დიდი იმედი აქვს გამარჯვებისა. ცხადია, შენიშნავენ გაზეთები, რაღა თქმა უნდა, იაპონელების დამარცხება ადვილი არაა, დიდ წინააღმდეგობას გაუწევენ რუსის ჯარსა, ერთ ჩიჩქნა ადგილს არ დაანებებენ უბრძოლველადაო. მაგრამ ბოლოს რუსის ჯარი მაინც სძლევს იაპონელებსაო, რადგან ეხლა გენ. კუროპატკინს ჯარი მეტი ჰყავს იაპონელებზეო.

„რუსკოე სლოვო“-ს სამხედრო თანამშრომელი სწერდა: რაკი ასეთი ფრთხილი, გამოცდილი და დიდად ნიჭიერი სარდალი, როგორიცაა გენ. კუროპატკინი, იერიშით მიდის იაპონელებზე, ეჭვი არაა, გაიმარჯვებს კიდევაცაო... სამხედრო მიმომხილველები თითქმის ერთპირად ჰფიქრობენ, იაპონელები უკან დაიხევენ, ლიაოიანში გამაგრდებიან და პირველად იქ შეებრძოლებიან რუსის ჯარსაო.

უცხოეთის გაზეთები სხვა-და-სხვა აზრს გამოსთქვამენ გენ. კუროპატკინის გალაშქრებაზე. ზოგი წინადვე დარწმუნებულია, რომ რუსის სარდალი დაამარცხებს იაპონელებს და პორტ-არტურსაც იხსნისო. მაგრამ ზოგიერთი გაზეთი ეჭვის თვალით უყურებს ამ გალაშქრებას და ამტკიცებს, გენ. კუროპატკინმა მეტად მძიმე საქმე იდო თავსაო. შეიძლება იაპონელებმა სამხრეთისაკენ ჩაიტყუონ და იქ მოიმწყვდიონ სადმეო. გინდ გენ. კუროპატკინმა დაამარცხოს, იაპონელები კვანტუნის ნახევარ-კუნძულისაკენ დაიხევენ, ცინჩოუს ვიწრო ყელზე გამაგრდებიან და რუსებს პორტ-არტურისაკენ აღარ გაუშვებენო. („ნ.“).

„ნ. ფრ. პრესე“-ს სამხედრო თანამშრომელი სწერს: გენ. კუროპატკინმა მეტად ძნელი საქმე იდო თავსა. ჯერ მდინარე ტაიძხეს ჩრდილოეთით უნდა დაამარცხოს იაპონელები, გენ. ოკუს არმიას გვერდიდან უნდა მოუაროს და ხაიჩენისა და პორტ-არტურისაკენ დაახევინოს, მერე გენ. ნოძუსა და გენ. კუროკის არმიები მოდულინის უღელ-ტეხილისაკენ უნდა განდევნოს და თან გაჰყვეს; ერთი რაზმი ილუსაკენაც უნდა გაგზავნოს, რომ იაპონელებს გზა მოუჭრას; ამავე დროს ერთი ძლიერი რაზმი პორტ-არტურის დასახსნელად უნდა გაგზავნოს. მართალია გენ. კუროპატკინს ეხლა მეტი ჯარი ჰყავს იაპონელებზე, მაგრამ ასეთ ძნელ საქმეს გაცილებით მეტი ჯარი სჭირია, ვიდრე გენ. კუროპატკინსა ჰყავს ხელითა. როგორ წავა საქმე, ეხლა მალე გავიგებთო. („ნ.“).

ახალი ამბავი

◆ დღეს, 5 ოქტომბერს, მემკვიდრე ცესარევიჩის და დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოზის ძის სახელწოდების დღეს, საქართველოს ეგზარხოსი გადაიხდის წირვასა და პარაკლისს.

◆ ოფიციალურის ცნობებით, 30 სექტემბერს ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა 12, გარდაცვლილა 5 კაცი; 1 ოქტომბერს: ავად გამხდარა 13, გარდაცვლილა 6 კაცი.

◆ 3 ოქტომბერს ბაქოდან ტფილისს დაბრუნდა კავკასიის მთავარ მმართებლის თანამდებობის აღმასრულებელი ა. ა. ფრეზე. ბაქოში გენერალმა ფრეზემ სამ დღეს დაჰყო.

◆ 2 ოქტომბერს ტფილისში ჩამოვიდა და „ორიანტის“ სასტუმროში ჩამოხტა ინგლისის ელჩი სპარსეთის შაჰისთან ბ-ნი გარდინგ არტურ ანტოს.

◆ ამ ჟამათ სოჩიში იმყოფება მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ა. ს. ერმოლოვი.

◆ როგორც გავიგეთ, შინაგან საქმეთა მინისტრმა დაამტკიცა წესდება „კავკასიის ტუბერკულეზთან მებრძოლ საზოგადოებისა“. ახალი საზოგადოება არსდება ტფილისში.

◆ პეტერბურგიდან ხოლერასთან საბრძოლველად გამოგზავნილი იყო გრაფი შუვალოვი, რომელიც დღემდე ბაქოში იმყოფებოდა. რადგან ხოლერის გაჩენის შიშმა ბათუმსა, ტფილისსა და სხვა ადგილებში გაიარა, ამიტომ შუვალოვი ტფილისს აღარ ჩამოვა, როგორც განზრახული იყო, და ბაქოდან ამ დღეებში პირ-და-პირ პეტერბურგს გაემგზავრება.

◆ 3 ოქტომბერს, თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა კერძო კრება ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა **ქალაქის მოურავის** თანამდებობაზედ კანდიდატის დასასახელებლად. დაასახელეს ნ. ი. თამამშევი (1 ხმით), თავ. ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი (4 ხმით), თავ. გ. მ. თუმანოვი (1 ხმ.), ა. ს. ბაბოვი (12 ხმით) ქ. ი. ვერმიშევი (23 ხმით). ბაბოვისა და ვერმიშევის გარდა ყველამ კენჭის ყრაზე უარი განაცხადეს. ა. ს. ბაბოვს კენჭის ყრით ამოუვიდა 16 თეთრი და ქ. ვერმიშევს 23 თეთრი კენჭი. ამავე საგნის შესახებ კრება ჰქონდა სამეურნეო საზოგადოების სადგომში ხმოსანთა ერთს ჯგუფს. დასახელებულ იქმნენ იგივე კანდიდატები, კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ არჩევნები ქალაქის მოურავისა რამდენისამე ხნით კიდევ გადიდოს.

◆ ერევნის გუბერნიის ზოგიერთმა მეურნეებმა სთხოვეს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, შეატყობინოს რუსეთისა და **საზღვარ გარეთის** რომელ ქალაქებსა და ადგილებში გაიყიდება კარგ ფასად ატმის კონსერვები, ლობიო, მუხუდო, ბამბის თესლი, კახური ღვინო (?) და ხმელი ხილიო.

◆ 3 ოქტომბერს, მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის თავმჯდომარეობით, მოხდა კრება კავკასიის **შინა მრეწველობის კომიტეტისა**. კომიტეტმა გადასდოს ფული ლითონისაგან გაკეთებულ ფერად საღებავების შესაძენად ხალიჩებისა, შალებისა და სხვა ამგვარ ნაწარმოებთა საღებავად. ეს საღებავები უნდა დაურიგდეს შინა მრეწველთ და ამრიგად გავრცელდეს. შემდეგ კომიტეტი საწყობებს გამართავს. ამავე დღეს კომიტეტმა დაადგინა, გამოსცეს ქართულსა, რუსულსა და სომხურს ენაზედ წიგნი, რომელშიაც დაწვრილებით იქნება აღნიშნული ცნობები იმ მცენარეთა შესახებ, რომელიც კავკასიაში ხარობს და რომლისგანაც საღებავები მზადდება.

◆ ტფილისის **საბაღოსნო სასწავლებლის** უფროსმა აცნობა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ ამ დღეებში საბაღოსნო სკოლის მოსწავლეები უნდა შეუდგნენ მომავალ წლისათვის სანერგეს გაკეთებასა და სხვა სამუშაოებს; საჭიროა საზოგადოების საბჭომ ეხლავ გამოარკვიოს, სად გაკეთდეს ამერიკულ ვაზისა და ხეხილის სანერგე. სანერგეს კეთებას საბაღოსნო სკოლის ეზოში ვერ შევუდგებით, რადგან მცენარეთა ფესვების სიდამპლე ჯერაც არ მოსპობილა. ხოლო ყველა ის ადგილები, რომელნიც დასახელებულ იქნენ გორისა და დუშეთის მაზრებში, გამოუსადეგარია ზოგი უგზოობისა და ზოგიც სხვა მიზეზითაო. სკოლის უფროსის აზრით, საუკეთესო ადგილი ყოველისფრით შემკული და სანერგესთვის გამოსადეგი თავ. ზ. ერისთავის ადგილია კასპში. იგი ურჩევს ამავე მამულის აღებას.

◆ ყვარლის ბოქაული გომელაური დაინიშნა **ტფილისის მე-7 ნაწილის ბოქაულად**, ხოლო ყვარლის ბოქაულად დაინიშნა ტფილისის მე-3 ნაწილის ბოქაულის თანაშემწე გედევანიშვილი.

◆ სტუდენტი ივ. დოდუა გვთხოვს დავბეჭდოთ: „საზოგადოდ ოდესელ ქართველ სტუდენტთა და განსაკუთრებით „ისტორიულ-ლიტერატურულ“ ჯგუფის მინდობილობით მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც კეთილ ინებეს და „ისტორიულ-ლიტერატურულ“ ჯგუფის წიგნთ-საცავს შემოსწირეს თავიანთი თხზულებანი და გამოცემანი: ი. გოგებაშვილმა 37 წ.—10 მან. 4 კ., მ. ჯანაშვილმა 17 წ.—5 მ. 70 კ., ზ. ჭიჭინაძემ 55 წ.—12 მ. 75 კ., ი. იმედაშვილმა 23 წ.—9 მ., კ. თავართქილაძემ 23 წ.—4 მ., 88 კ. აგრეთვე გ. გორგაძემ გადმომცა საეკკლესიო მუზეუმის გამოცემები 12 წ.—9 მან. 2 კაპ. სულ 167 წ.—42 მან. 57 კაპეიკისა.

◆ ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელი წელს დაასრულა ცხრა კაცმა. მათ შორის სამი ქართველია: ლევან ანდრონიკაშვილი, ნოე მგელაძე და გიორგი ბრაგვაძე. ექვსიც სომეხია.

◆ მისაღები ეგზამენები ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელში მოხდა 28 სექტემბერს. ვაკანსია 16 იყო და მთხოვნელთა რიცხვი კი 50-მდე. მიღებულ იქმნა 24. მათ შორის რამდენიმე უმაწვილო კანდიდატთაა ჩარიცხული. ამ ოც და ოთხ კაცში ერთი რუსია, რვა ქართველი, ცამეტი სომეხი და ორიც თათარი.

◆ გუშინ, 4 ოქტომბერს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ სთხოვა მთავარ-მართებლის საბჭოს წევრს ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეის იკისროს წარმომადგენლობა სამეურნეო საზოგადოებისა და დაესწროს ერევანსა და აგდამში დანიშნულ მებამბეთა კრებებს.

◆ დღეს, 5 სექტემბერს, საღამოს 8 საათისათვის დანიშნულია სხდომა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი.

◆ ბევრი მაგალითი იყო იმისა, რომ თელავს, სიღნაღსა თუ სხვა ადგილებში მიმომსვლელ ეტლებისა და დილიჟანების უკან მიკრული ნივთების ხურჯინები და ყუთები მოუხსნიათ ქურდებს და მოუპარავთ. გუშინ პოლიცმეისტერმა მისწერა პოლიციის მე-8, 7 და 4 ადგილების ბოქაულებს გამოუცხადონ დილიჟანებისა და ეტლების პატრონებს, რომ ნივთებს თოკებით კი არა, რკინის ჯაჭვით აკრავდნენ ხოლმე.

◆ პრაჩენის ქუჩის მცხოვრებთ სთხოვეს გუშინ ქალაქის გამგეობას, დააჩქაროს იმათ ქუჩაზე არხის გაყვანა, რადგან ჩვენი ქუჩა ანტისანიტარულ მდგომარეობაშიაო. სხვათა შორის, სწერენ: ჩვენი ქუჩის იმ ღარიბულ ნაწილს, რომელსაც არხის გასაკეთებლად ხვედრი ფული არ წარმოუდგენია, არც აწი შეუძლიან წარმოადგინოს სიღარიბისა გამო და, კარგი იქნება, ქალაქმა თავის ფულით შეავსოს არხის გასაკეთებლად საჭირო თანხაო.

◆ ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა განუცხადა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ტრამვაის მეთვალყურე კომისია უსაფუძვლოდ აწერს საზოგადოებას ჯარიმებს ვაგონებში მეტ ხალხის დგომისათვის, რადგან ამაში მას არავითარი ბრალი არ მიუძღვის, ყოველს ღონეს ხმარობს, მეტი ხალხი არა ჯდებოდეს, მაგრამ ცდა ამაოაო.

◆ გუშინ, 4 ოქტომბერს, ტფ. ქალაქის საბჭოს იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის საზღვრებში ვაკეს შემოტანის საქმე, განსახილველად დაუგზავნა უწყებები ვაკეს მცხოვრებთ და შეატყობინა, ვიდრე თქვენი შუამდგომლობა შესრულებული იქნება, საჭიროა გადაღებულ იქნას დაწვრილებითი გეგმაო. გეგმის გადასაღებად უნდა გადაიხადონ მცხოვრებლებმა ერთ დესიატინა მიწაზე 4 მან. 50 კაპ., ხოლო ერთ ოთხ-კუთხ საჟენ მიწაზე 1/6 კაპ. კომისია სთხოვს, დააჩქარონ აღნიშნულ ფულის წარმოდგენა.

◆ სად. სანაინი. 28 სექტემბერს რკინის გზის მებუფეტე მსახური იოსებ ჯალიძე, 17 წლისა, უნდა გადმომხტარიყო მატარებლიდან (№ 294), მაგრამ ამ დროს გადმოვარდა და დაშავდა. რკინის გზის ექიმმა გასინჯა და ტფილისის საავადმყოფოში გაგზავნა, რადგან თავი ძლიერ დაჩეჩქვილი აქვს.

◆ სად. ალსტაფა. 2 ოქტომბერს, როდესაც დარაჯი გიორგი ბერეჟანოვი თოფსა სტენავდა, გავარდა და ორი თითი წაჰგლიჯა.

◆ ბაქო: 2 სექტემბერს ბაქოს გიმნაზიის მოწაფე აბრამ გერევიჩი ლიანდაგზე მიდიოდა, ორთქლმავალი დაეწია, ქვეშ მოჰყვა და ორივე ფეხი წაჰყვიტა. დაშავებული ბაქოს რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ 30 სექტემბერს, საღამოთი, ასე 10 საათზე, ნაძალადევში ილია სოფრომაძესთან მისულა მისი ნაცნობი ე. ლაბაძე და კარი დაურახუნებია, სახლში შემიშვიო. სოფრომაძეს კარი არ გაუღია. მაშინ ლაბაძეს მოუნდომებია კარების ძალით შემტვრევა. ეს რომ შეუნიშნავს იქვე მცხოვრებს საიათოვს, უთქვამს ლაბაძისათვის, წასულიყო ეზოდან. ლაბაძეს უძვრია ხანჯალი და საიათოვი დაუჭრია სახესა და ხელში. დამნაშავე დააპატიმრეს.

◆ 30 სექტემბერს, ტფ. მოქალაქეს ტარასენკოსა და ილია სარუხანოვს აბანოს ქუჩაზე ჩხუბი მოსვლიათ, რომლის დროსაც ტარასენკოს დანით დაუჭრია სარუხანოვი მარჯვენა ფერდში. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს. დამნაშავე დააპატიმრეს.

◆ 2 ოქტომბერს სურფ-კარაპეტის აღმართზე ჩხუბის დროს ყაზახის მაზრის მცხოვრებმა ნავრუზოღლიმ დანით დასჭრა ტფილისის მოქალაქე სვიმონ პარემუზოვი. დამნაშავე დააპატიმრეს.

◆ პოლაკის საელექტრონო ფირმამ აცნობა ტფ. ქალაქის გამგეობას, ჩვენი ბრალი არ არის, რომ ჩვენ მიერ დადგმული ელექტრონის ფარნები ბჟუტავენ ხოლმეო. ამის მიზეზი ის არის, რომ ზოგიერთი მცხოვრებნი სახლის ფანჯრებიდან ელექტრონის მავთულებს ხელს ავლებენ, რაიცა საშიშოა და უბედურება შეიძლება მოხდეს და სინათლესაც უკლებსო. ფირმა სთხოვს გამგეობას, განკარგულება მოახდინოს, რომ არავინ ხელი არ ახლოს ხოლმე საელექტრონო მავთულებს.

ქუთაისის ახალი ამბავი

◆ კიდევ არ მიეცა დასასრული ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში მეხუთე კლასის გახსნას. გაზეთებში უკვე აღნიშნული იყო, რომ კავკასიის მთავარ-მართებელმა ნება დართო გაიხსნას მეხუთე კლასიო. ამის შესახებ დეპუტატთა საკრებულოს დეპეშაც მიუღია. მოწაფეებისა და მათი მშობლების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა; მხოლოდ უცდიდნენ პეტერბურგიდან ოლქის მზრუნველის ჩამოსვლას, რომლისგანაც სასწავლებლის გამგეს ოფიციალური მოწერილობა უნდა მოსვლოდა ნებართვის შესახებ. ბ-ნი მზრუნველი დეპეშით ატყობინებს დეპუტატთა საკრებულოს, სანამ სამინისტრო

ფელეტონი

იმერლის წერილები

წერილი მეშვიდე

თუმცა მაინცა და მაინც არა ვარ კაი წერის გუნებაზე, მარა ჩვეულობა სჯულზე უმტკიცესია: ერთ წერილს რო გავამზადებ და მომივა დასტამბული, იმასობაში შემდეგის წერილისათვის მასალები თავმოყრილი მაქვს და ჩავუჯდები.

ახლაც უნდა გამოგცხო მეშვიდე წერილი.

მაგრამ გწუხვარ-კი, ვაი, თუ უმი მოვიდეს, არ იქმნეს კაი გამოშუშებული, ჩემის უგუნებობის გამო, და აწყენის ვისმეს. ესეც კია —თუ სხვა არ მოერიდება ჩემს წყენას, უგუნებოდ გამხდის, ხალისს დამიკარგავს, მე რაში ვისმე უნდა მოვერიდო და არ ვუწყინო?

მე იმას მოგახსენებთ, რო მეტის მეტი უნდობლობის დრო დაგვიდგა. ძველებური აღარც ძმა-კაცობაა, არც ერთგულობა, აღარც გატანა. ახლა რო ვინმე იტყვის—ძველად ფულს რო დაესესხებოდი ვისმეს—ცოტას-კი არა, კაი ძალს —ერთი ბალანი ულვაშისა რო მიგეცა, უბეჯითესი მტკიცე თამასუქი იყო ისაო—ეს ზღაპარი ჰგონია ყველას. ახლა? ახლა ულვაში-კი არა, წვერიც, თავის ბალანიც და, რაც-კი თმა გაქვს ტანზე, ძირ-ძირად რო გამოიქნა, კაპიკს ვინმე გენდობა?

ეჰ, მადლობა ღმერთს! ამ დროს რომ ვუყურებ, კიდევ დიდი ღვთის წყალობაა, რომ ის ძველი ჩვეულება გადავარდა, თორემ, თქვენი მტერი, ჩვენ ყველა [illegible] ეხლა და [illegible] რასაც არავინ მოგვაშავებდა. მერე, წარმოიდგინეთ, რა შესახედავი იქნებოდა ჩვენი „უმარწვილები“ მაშინ, ასე კოხტად რო ვეღარ დაიგვარკნიდნენ ულვაშებს, რომლის ზევით აპრეხილი წვეტები თვალებში სცემთ

ძველი ჩვეულობა გადავარდა და ახლა თამასუქის დასტამბული ქაღალდია „ვექსილებითა“ და „ნეუსტოიკებით“...

ისე მოვხუცდი, ბევრი გასაჭირი მომდგომია, მარა თავი გავიტანე და ვექსილი... ააა, იმის სახელს ჩემთან ტყუილა ნურავინ იტყოდი... გაჩანჩალდე აქამდი უვექსილოდ ეს სოფელი... მაგრამ კაცის თავზე რა არ დატრიალდება. მომჭირა მუხრუჭებმა, და მომაგონდა ერთი ძველი ამხანაგი. ამხანაგი ამხანაგს ჰქვია, ისეთი მეგობარი, ისეთი ძმა-კაცი, რო სულს არ ვშურავდით ერთმანეთისათვის; დღესაც დასტად მიწყვია მისი მონაწერი ბარათები. მისი სურათიც კედელზე მკიდია და რო შევხედავ, მოვიგონებ ახალ-გაზდობას, გადავფურცლავ იმის ბარათებს და ვკითხულობ: „კუბოს ფიცრამდე ჩემთვის დაუვიწყარო... ჩემო ერთგულო ამხანაგო... ჩემო სიცოცხლევ... განუშორებელო მეგობარო... ქვეყანა ისე როგორც დატრიალდება და შეიცვლება, რო ჩვენი ძმური კავშირი შეიცვალოს...“ და სხვა და-სხვა

მომაგონდა ამისთანა მეგობარი და შევხვდი... ესეც უნდა მოიხსენოთ, რომ ამ ჩემი შეხვედრის დრო ჟამს ქვეყანა არ გადატრიალებულა, მარა ის ჩემი მეგობარი, მართალია რომ დიდი შეძლებული კაცი იყო გულის მხრით; ქვეყანა არ გადატრიალებულა, და მე იგივე [illegible] აზნაური გახლდათ...

შევხვდი: „აბა, ჰე, ძმა ძმისთვის—შავი დღისთვის... მიჭირს, მეგობარო, და გამიმართე ხელი, პატარა ფული!...“ მითხრა: —ერთ თუთხმეტ თუმანს გიშოვნი ამ ორ დღეში, რამდენიმე ათასი მანათი მაქვს ასაღები ბანკიდან... მარა, ეს კი იცოდე, „ზაკლადნოი ლისტებით“ მაძლევენ და შენც ისე უნდა მოგცე, ერთი ოც-და ოთხ მანათამდე დაგაკლდება თავნზე.. ესეც იცოდე—სამის თვით შემიძლია მარტო გასესხო და ვექსილი (ვაიმე, ვექსილით!!) მომეცი თუთხმეტი თუმნისა-ო! ჰოო!

ბევრი ჩიჩინ-განმარტება აღარ საჭირო, მგონია, ამას... კუბოს ფიცრამდის ერთგულმა მეგობარმა კაცმა თუთხმეტ თუმანზე სამის თვით ოც-და-ოთხი მანათი მომთხოვა... სარგებელი-კი არ მოუთხოვია, ეს ისე, „ზაკლადნოი ლისტის“ ბრალია და რა ჩემი გულითად მეგობრის ბრალია, რო მეტი არ ღირს ეგ ლისტები?!

მშვიდობით და გეთხოვები, კუბოს ფიცრამდე მეგობარო!

უკეთესი დროის შემსწრე რო ვარ, ძალიან გულგატეხილი შევიქენი ახლანდელს დროზე... უკეთეს დროს პირიანობაზე მოვიხსენებთ და კაცად კაცობაზე. მართალია, განათლებული ცხოვრება ახლა უფროა, ცოდნითა და სწავლით მეტი თავის გაბრწყინებული, მარა... გული? გულო, გულიც უნდა გაეკეთებია ამ კაი განათლებულს დროს.

მარა, არაფერია... მოვა დრო და გულიც მოტრიალდება... რადაც ჭკუამ დაგვბერა, ადვილად, და მისი მიზეზი უნდა იყოს, რო თავით წინ მივდივართ ცოდნით და ცნობით და გულით კი [illegible] ვართ, ჩამორჩენილები... მარა [illegible] არ გამოვკვეთდეს. არ მოხდება, რომ ჩვენი ქვეყანა რო, ამისთანა სამოთხეში კაცი ცხოვრობდეს და გული მშვიდი ჰქონდეს...

ქვეყანაზე ადამიანს იმედი ასულდგმულებს, ბეჩა, და აცხოვრებს...

მეც იმედი მაქვს, რო ჩვენი ახალგაზდა ყმაწვილები სწავლის დროს ბეჯითად ისწავლიან და თავისუფალ დროს ჩვენს საწყალსა და ჩამორჩენილს ერს სოფლებს მოხედავენ.

იმედი მაქვს, რომ ახალგაზდა ნასწავლი ქალიშვილებიც მარტო პრაშტი პრიშტსა, ცხრა თარგსა „კურტიჩკების“ კერვასა და გრეხვა-კვანწვაში არ დაკარგავენ დროს...

იმედი მაქვს, რომ ახლა რო განათლებული სულიერი მამები დაგვინიშნეს სოფლებად, ისინა არ წაბაძავენ ძველებს, სწავლა-ცოდნით მოკლებულ ზოგიერთ მოძღვრებს, რომელნიც ტაბლა-საკურთხების თაობაზე დიდს არეულობაში იყვნენ თავიანთ ხელ-ქვეით პრიჩეტნიკებსა და დიაკვნებთან, როცა ამ ტაბლა-საკურთხების განაწილება ხდებოდა მათ შორის... ღმერთმანი, სულაც რო ურჩიონ ხალხს ამ ტაბლა-საკურთხების მოსპობა, მიცვალებულებს ამით არც მოშივდებათ და არც მოწყურდებათ... ბატონო, ცოცხლებს გვშია და გვწყურია, ათასი გზით შეწუხებულნი ვართ...

მარტო სტომაქის შიმშილ-წყურვილი-კი არაა ეგ, რის შიმშილ-წყურვილიცაა—ამის მალამო უნდა მიაწოდონ მრევლს განათლებულმა მოძღვრებმა. არა? მე რო მათი უფროსი ვიყო—ყველას დავავალებდი სკოლა ჰქონოდა სამრევლოში, თუა-რა... [illegible]

ჩვენში გვაქვს სკოლა. ერთ უბანშია, ორ-ორ ვერსის გადადგმაზე ერთმანეთისაგან: ეკლესია, სკოლა, სოფლის კანცელარია და დუქანი.

თუ თქვენც ბრძანებთ—ვერაფერი რიგიანი განწყობილობაა ასეთი სხვა და-სხვა გვარის საქმის ერთად შეჯგუფება. აგერ სულის საქმე, ორ ნაბიჯს გადადგამ—სწავლის საქმე... ეს თუნდა არაფერია... თუმცა აჯობებდა—სკოლა ეკლესიისაგან ცოტა მოშორებით იყოს, რადგან ბავშვებზე რა კაი გავლენა უნდა ექნეს მუდამ სასაფლაოების ყურებას, ტირილისა და ვაი-ვაგლახის სმენას. მაგრამ ამაზე უარესი მოუწყობელი საქმე ისაა, რომ იქვე ხრიკების, დავიდარაბის და მუდამ აღიაქოთის დეპარტამენტი— სოფლის კანცელარია და ორ ნაბიჯზევე „ვარხალადეს“ დეპარტამენტი—დუქანი.

ეს კანცელარია და „სავარხალადო“ ნამეტურ ძალიან მოუწყობელი საქმეა, რომ ასე დაახლოებულნი არიან ერთმანეთზე... არ შეიძლება— „სავარხალადოს“ პატარა რამე ზედ-მოქმედება და გავლენა არ ექნეს განჩინებების დადგენაზე სოფლის „სუდში“. ცოდვილი კაცი ვარ და გეფიქრობ,—ვინ იცის, შეიძლება, ცუდი სულაც არაფერი ხდებოდეს—მარა, შაბათობით-კი უფრო ხშირად, როცა სოფლის „სუდების ზასედანიაა“—ძაა ტრია-ტრია ისმის არღნისა „სავარხალადოში“ და იქიდან კანცელარიისკენ ხშირია ხელის და თვალის „პაჟუნი“...

არა, ამის დარდს-კი გაუძლებენ სოფლის მოხელეები, მარა ერთმა რამემ დააწუხა მომეტებულად ისინიც და თვითონ სოფელიც. ტეპულოს საბოქაულოზე ვართ ჩვენ მიწერილი, [illegible] ხუთ ვერსამდე გამოვა იქამდი, [illegible] ცხრა ვერსზე არა ვართ [illegible] გამოხიდი ერთ წინა წერილში...

არ განმარტავს, რა როლი ექმნება თავად-აზნაურთაგან არჩეულს აღმასრულებელ კომიტეტს სასწავლებლის მართვა-გამგეობის საქმეში. მანამ მე ჩემის უფლებით არ შემიძლიან მეხუთე კლასის გახსნის ნება მოგცეთო. „ორი წელიწადია შევჩერებივარ მეხუთე კლასის გახსნას და სხვაგან ადგილი არ მიძებნია ბავშვისთვის, რადგან გვაიმედებდნენ, აქვე გაიხსნება უფროსი კლასებიო. ეხლა რაღა მოვუხერხო ამ საცოდავ ბავშვს? შეძლებაც რომ მქონდეს, იმისთვის მაინც დახშულია გიმნაზიის კარები, რადგან ეხლა წლოვანებაც არ მისცემს ნებას, რომ მეხუთე კლასში დაიჭიროს ეგზამენი. „ნიჭი“ მაინც არ ჰქონდეს ამ უბედურის შვილს“, ამბობდა ერთი გულჩათუთქული მოხუცი მშობელი და ცხვირსახოცით თვალებზე მომდგარ ცრემლს იწმენდდა, მის გვერდით კი იდგა ბავშვი, რომელიც განზედ იხედებოდა და პირზე წამოწითლებულ თვალებს ჩქარ-ჩქარა ხუჭავდა; ეტყობოდა, ისიც მზად იყო ეტირა, მაგრამ რცხვენოდა ამხანაგებისა. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ს. დ. წერეთელი ეხლა პეტერბურგს წავიდა, რომ სამინისტროს წინაშე იშუამდგომლოს მეხუთე კლასის გახსნის შესახებ. კიდევ ყველა დაიმედებულია, რომ შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნება.

◆ გუბერნატორმა ქალაქის მოურავის, პოლიცმეისტრისა და სასანიტარო ექიმის თანდასწრებით დაათვალიერა ქალაქის გადამდებ სენიანთა საავადმყოფო. გუბერნატორი კმაყოფილი დარჩა სისუფთავით. შემდეგ დაათვალიერეს სასტუმროები, რესტორანები, მოედნები, ბაზარი და სხ. გუბერნატორის განკარგულებით, დაკეტილ იქმნა ერთი რესტორანი, სადაც უსუფთაობა აღმოჩნდა.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

29 სექტემბერს ქალაქის მოურავის დ. ა. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით მოხდა ქალაქის საბჭოს კრება, რომელსაც 24 ხმოსანი დაესწრო. პირველად ხმოსანმა ჯანელიძემ აღნიშნა, რომ საბჭო ძლიერ აჩქარებით მოეკიდა ტელეფონის საქმეს და უპირატესობა მისცა ინჟინერს ალიბეგოვს, როდესაც კოლბე უკეთესის პირობებით კისრულობდა ტელეფონის გამართვას (1500 მანეთით ნაკლებს თხოულობდა). ქალაქის მოურავმა უადგილოდ ხცნო ეხლა კიდევ ამ საქმის შესახებ მსჯელობა, რადგან ყველა ფირმების წინადადებანი განხილულ იქმნენ კომისიისა და საბჭოს მიერ და უკანასკნელმა უპირატესობა ალიბეგოვის წინადადებას მისცაო. ოქმი დამტკიცდა. თავმჯდომარემ მოახსენა საბჭოს, რომ შინაგანსაქმეთა მინისტრად დანიშნული იქმნა თავ. სვიატოპოლკ-მირსკი, რომლის მამა ქუთაისის გუბერნატორად იყო 5—6 წლის განმავლობაში და საზოგადოების საერთო ნდობა და სიყვარული მოიხვეჭაო; ამ განათლებულ სახელმწიფო მოღვაწის არჩევას დიდის თანაგრძნობით და აღტაცებით მიეგება რუსეთის საზოგადოება და პრესაო. თავმჯდომარემ წინადადება მისცა საბჭოს, გაუგზავნონ ახლად არჩეულ მინისტრს მისალოცი დეპეშა. საბჭომ ერთხმად მიიღო წინადადება და დაავალა ქალაქის გამგეობას დეპეშის ტექსტის შედგენა.

სამოსწავლო უწყებამ წინადადება მისცა ქალაქს, თუ ახლად დაარსებულ ორს პირველ დაწყებით სასწავლებელში სწავლა უფასო იქმნება, მთავრობა 2000 მანეთს შეგეწევათ ყოველ წლიურადაო. სასკოლო კომისიას განუხილავს სამოსწავლო უწყების წინადადება და სასარგებლოდ უცვნია იმისი მიღება. გ. ლ. კორკაშვილი წინააღმდეგია, რომ სასწავლებლებში მდიდარი და ღარიბი ყველა განთავისუფლებულ იქმნას სწავლის ფასისაგან. მან უმჯობესად სცნო ეთხოვოს სამოსწავლო უწყებას, რომ ქალაქს ნება მიეცეს ხსენებული ფული მოახმაროს ქალაქის ყველა სასწავლებლის მხოლოდ ღარიბ მოწაფეთა სწავლის ფულისგან განთავისუფლებას. თავ. კ. ბ. ლორთქიფანიძე კი იმ აზრისა იყო, რომ ხსენებული ფულით მთავრობამ თვითონ გახსნას მეოთხე საქალაქო პირველ დაწყებითი სასწავლებელი, რომელშიაც უნდა მიღებულ იქმნენ ქალაქის უღარიბეს მცხოვრებთა შვილები და სწავლაც უფასო იქმნეს. მიღებულ იქმნა ბ-ნ კორკაშვილის წინადადება.

შეწყნარებულ იქმნა პოლიცმეისტრის თანაშემწის თხოვნა სადგომის ქირის მომატების შესახებ. ამდენ ხანს მას ეძლეოდა სადგომის ქირად 180 მანეთი; ეხლა თხოულობდა 400 მანეთს. საბჭომ ერთხმად დაადგინა, მისცეს დამატებით ქირად 120 მანეთი, ე. ი. 300 მანეთად გაუხადონ. იგივე პოლიცმეისტრის თანაშემწე სთხოვს საბჭოს, მისცეს მას 600 მანეთი ნაცვლად იმ ხარჯისა, რომელიც მას გზაზე დასჭირდება ოჯახობით ვარშავიდან ჩამოსვლის დროს. საბჭომ ერთხმად უყურადღებოდ დასტოვა თხოვნა.

პროვიზორი ა. ცხეიძე თხოულობდა ჯამაგირის მომატებას. ხანამ აფთიაქს ცოტა შემოსავალი ჰქონდა ძველს ადგილზე, პროვიზორის თანაშემწეს ჯამაგირს აძლევდნენ 800 მანეთს; ეხლა 1000 მანეთს თხოულობს ჯამაგირს და 200 მანეთს ბინის ქირად. თხოვნა შეწყნარებულ იქმნა 20 ხმის უმეტესობით 5-ის წინააღმდეგ.

საბჭომ ერთხმად გადასდო ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 5000 მანეთი. ამ ხარჯის დასაფარავ წყაროდ ნაჩვენები იქმნა აფთიაქის მოსალოდნელი მეტი შემოსავალი.

განხილულ იქმნა ბ-ნ გუბერნატორის წინადადება შესახებ იმისა, რომ შემცირებულ იქმნას ქალაქის ადგილებზე დანიშნული საიჯარო გადასახადის საპროცენტო გადიდება. უკანასკნელად შემუშავებულ პირობის ძალით, იჯარით გაცემულ ქალაქის ადგილებს ყოველ ხუთის წლის შემდეგ ემატება იჯარის 20%, ე. ი. 25 წლის შემდეგ საიჯარო გადასახადი ორკეცდება. გუბერნატორი წინადადებას იძლევა, რომ ეს 20% შემცირებულ იქმნეს 15%-მდის. ხმოსანთაგან ზოგიერთი იმ აზრისაც იყო, რომ ეს მომატება 10%-ად გაეხადათ. საბჭომ ხმის უმეტესობით მიიღო ბ-ნ გუბერნატორის წინადადება.

უყურადღებოთ დატოვებულ იქმნა ორპირის ქუჩის მცხოვრებლების თხოვნა შესახებ იმისა, რომ ქალაქს დროებით შეეჩერებინა ქუჩის საკეთებელ გადასახადის შეკრება.

ლონ. ვალიანი.

პრესსა

ამას წინად „რუს. ვედ.“-მა აღნიშნა ის სამწუხარო მოვლენა, რომ ფრიად-მნიშვნელოვანი საქმე—საგლეხო კანონმდებლობის გადასინჯვა, ბიუროკრატიულ, „ჩინოვნიკურ“ წარმოებად იქცა, უმთავრესად ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ჩაუვარდათ ხელში. ერობას სულ მცირე ადგილი არგუნეს ამ საქმის განხილვაში. ამ დღემდე „რუსკ. ვედ.“-ი სიამოვნებით ეგებება ახალ ამბავს, რომ შეცვლილ უნდა იქმნეს საგლეხო კანონ-მდებლობის განხილვის რიგიო.

ამჟამად საგუბერნიო საბჭოებმა,—ამბობს გაზეთი,—თავის პროექტებს ის აზრი დაუდევს საფუძვლად, რომ გლეხს „ოპეკა“, ადმინისტრაციის მზრუნველობა და შეზღუდვა ეჭირვებაო. ამიტომ პროექტით გლეხთათვის მზრუნველებად საერობო უფროსები უნდა ყოფილიყვნენ. გლეხთა წოდება იურიდიულად ისევ განკერძოვებულ მდგომარეობაში უნდა დარჩენილიყო, განსაკუთრებულ კანონებს უნდა დამორჩილებოდა. დროა,—ამბობს გაზეთი,—აღვიაროთ, რომ გლეხი—მოზრდილი კაცია, თავისი თავის პატრონი, რომ მას კარგად შეუძლიან წაუძღვეს თავის საკუთარ საქმეს და ამ მხრივ არ ჩამოუვარდება არც მემამულეებსა და არც ვაჭრებს. დროა შევიგნოთ, რომ ადმინისტრატიული ალაგმვა—უტოპია, უსაფუძვლო წადილია, ოცნებაა იმათი, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ ას მილიონ ხალხი ალაგმვა შესაძლებელი საქმეა. ეს უსაფუძვლო მავნე ლტოლვილება უკუღმართობის წყაროდ ადაიქცევა; გლეხთა ცხოვრების ხელმძღვანელობა უფრო არივ-დარია საქმე. ოფიციალურადაა ცხადილი, რომ 1886 და 1893 წელს გამოცემულმა კანონებმა გლეხთა საოჯახო საკუთრების დაყოფვისა და საერთო ადგილ-მამულის ხელ-ახლად დაყოფვის შესახებ, სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო, უფრო დააბრკოლეს გლეხთა ცხოვრება, ხელ-ფეხი შეუკრეს გლეხს და ადმინისტრაციის თვითნებობას დაუმორჩილეს. სოფლის საჭიროებათა გამომრკვევმა კომიტეტებმა მრავალი საყურადღებო მასალა შეაგროვეს ამ საკითხის გამოსარკვევად. მეურნეს და მეურნის მიერ აღზრდილ მცენარეს ერთნაირად სჭირიათ ჰაერი და სინათლე. უმთავრესად საჭიროა ეს თავისუფალი ჰაერი ჩვენს ქვეყანაში, სადაც უმრავლესობა, ხალხი—მცირე მიწ-წყლის პატრონია. თავისუფლება მათ შორის ასურველ კავშირს, ურთიერთობას, ერთმანეთის შორის დახმარებას შექმნის, გაწვრთნის, სწორ გზაზე დააყენებს ხალხს. შეკავშირებულ მცირე მეურნეთ ადვილად ვერ დაჩაგრავს მდიდარი მემამულე. პრესსა, თავისუფალი სიტყვა, მხარში ამოუდგება გლეხთა კავშირს, წრფელ დახმარებას გაუწევს, გააადვილებს აზრთა გაზიარებას, მწერლობას სასარგებლო ცოდნას გზას გაუკაფავს ხალხის ცხოვრებაში. ბოლოს გაზეთი აღნიშნავს იმ უცნაურ მოვლენას, რომ ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული რეჟიმი ცდილობდა ვითომ გლეხთა შორის კავშირების კოოპერაციების შექმნას. ცალი ხელით გლეხს ბორკილს ადებდა ფეხებზე, მეორეთი კი დუხჭირულად სიარულს ასწავლიდაო.

დღეიდან „ცნობის ფურცელი“ გამოვა

დიდი ფორმატისა.

მიუხედავად იმისა, რომ ამას მეტი ხარჯი უნდება, გაზეთის ფასი

მაინც წინანდელი დარჩება.

6

სასამართლო

ამავე დღეს პალატამ განიხილა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების ივანე მესხისა, რომელსაც წინასწარ განზრახვით ერთის ვიღაცის მეზობლის მოკვლა ჰბრალდებოდა. ქუთაისის ოლქის სასამართლოს მსჯავრით ჩამოურთმევია ყოველივე უფლება და გადაუწყვეტია 4 წლით კატორღაში გაგზავნა. პალატაში ბრალდებული იცავდა ნაფიცი ვექილი ფალავა. პალატამ მესხს 2 თვით საპყრობილეში დაპატიმრება მიუსაჯა, მაგრამ მანიფესტის ძალით სასჯელისაგან სრულიად განთავისუფლა.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

4 ოქტომბერი

ტოკიო, 3 ოქტომბერი („რეიტერი“). გენერალ-ადიუტანტმა კუროპატკინმა თავისი ჯარი სამ რაზმად გაჰყო—ცენტრისა, მარჯვენა და მარცხენა. ცენტრის რაზმი შესდგება პირველისა, მეოთხისა და მეხუთე კორპუსებისაგან. უფროსად დაინიშნა სოლოვიევი. ეს რაზმი ხუანშანკვა და ლინხუანშანისაკენ მოქმედებდა. მარცხენა რაზმი შესდგება ორის კორპუსისაგან უფროსად დაინიშნა ბარონი შტაკელბერგი. ეს რაზმი მოქმედებდა იაპონელთა მარჯვენა არმიის წინააღმდეგ. მესამე რაზმს, რომელიც შესდგება სამის კორპუსისაგან, უფროსობს გენერალი ლინევიჩი. ეს რაზმი იაპონელთა მოსავლელად იყო გაგზავნილი. იგი გაემართა ლიაოიანის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. გენერალი მიშჩენკო ლინევიჩის მარჯვენა ფრთაზე იყო. ცენტრის რაზმი ამ რიგად იდგა: პირველი და მეოთხე კორპუსი იქეთ-აქეთ ფრთებზე იყო, მეხუთე კორპუსი—ცენტრსა და არიერგარდს შეადგენდა.

მუკდენი, 2 ოქტომბერი („რეიტერი“). „რეიტერის სააგ.“-ს კორესპონდენტი, რომელიც რუსის ცენტრის არმიაშია, დეპეშით იუწყება, ექვსი დღის ბრძოლის შემდეგ რუსის ჯარმა 1 ოქტომბერს მდინარე შახეკენ დაიწია და დაიჭირა პოზიცია ამ მდინარის ჩრდილოეთ ნაპირზე. 27 სექტემბერს რუსები შახეს გადავიდნენ და ხამატუნისკენ წავიდნენ. ხამატუნთან მომხდარ ბრძოლაში რუსებმა ტყვეები წაიყვანეს. რუსები მისდევდნენ მტერს. იმათმა ჯარმა დაიჭირა პოზიციები, საიდანაც ყუმბარები დაუშინეს იაპონელებს. რუსები ნელა მიიწევდნენ წინ. ღამე იაპონელებმა იცვალეს პოზიცია და გათენებისას იქით-აქედან ყუმბარები დაუშინეს რუსის თხრილებს. შრაპნელით იაპონელებმა დიდი ვნება მიაყენეს რუსის ქვეითა ჯარს. მაშინ იაპონელები წინ გაემართნენ. რუსები თავ-გამოდებით იცავდნენ პოზიციებს. იაპონელები დილა ადრიანად შეუდგნენ მოქმედებას რუსის მარცხენა ფრთის წინააღმდეგ. იმათ რამდენიმე ყუმბარა გაისროლეს გზისა და სოფლისკენ, სადაც რუსის ჯარის ობოზი და ზურგის ჯარი იყო. ყუმბარებმა მცირე ვნება მიაყენეს რუსებს. მარცხენა ფრთის დასაცველად რუსებმა რამდენიმე ზარბაზანი დადგეს. რადგან რუსები უკან წავიდნენ, იაპონელებმა გორაკები და ერთი მაღალი გორა დაიჭირეს. გორიდან რუსებმა ზარბაზანი დაუშინეს იმ ველს, რომელზედაც წინა დღით რუსები იერიშით მოდიოდნენ. იაპონიის ქვეითა ჯარს, ველზე მდგომს, მგონია, დიდი ზარალი მოუვიდა რუსის ყუმბარებისაგან. 29 სექტემბერს გათენებისას მოპირდაპირეთა მდგომარეობა არ შეცვლილა, მხოლოდ იაპონელებმა გაიმარჯვეს ცოტათი. რუსის მარჯვენა ფრთეზე იმავე დღეს დიდი ბრძოლა მოხდა; ბატარეები ყველა სიმაღლეებიდან დიდ-ძალ ყუმბარებს ისროდნენ. ამავე დროს პოლკები ველზე ჩადიოდნენ და იქ ისპობოდნენ. ღამით საშინელი ჭექა-ქუხილი დაიწყო, წვიმამ დაუშვა და ველი წალეკა. ღამით იაპონელების რაზმში რუსის ქვეითა ჯარს დაეცა. გაიმართა ხელ-ჩართული ბრძოლა. იაპონელები უკუ-აგდეს. რუსები მედგრად იბრძოდნენ, მაგრამ ნელ-ნელა მაინც უკან იხევდნენ, რადგან იაპონელები კიდევ რუსის მარცხენა ფრთეს ემუქრებოდნენ. საღამოთი იაპონელებმა ზარბაზნის სროლა დაიწყეს. 1 ოქტომბერს რუსები მდინარე შახესთან მივიდნენ. ღამით ქარავანი გადაიყვანეს შახეზე. უკან ბრძოლას განაგრძობდნენ. ბრძოლამ 1 ოქტომბერს მთელი დღე გასტანა. რუსის უმთავრესი ჯარი შახეს იქით დააყენეს, რომ დანარჩენ ჯარს უკან დახევის დროს დახმარებოდა. 2 ოქტომბერს მუკდენში კარგად ისმოდა ზარბაზნის სროლა. რუსის ჯარი ყველგან ნელ-ნელა უკან იხევს და არც ერთის ფეხის გადადგმა ადგილს არა სთმობს უბრძოლველად. მგონია, რომ იაპონელები ვერც [illegible] რუსის რაზმს ვეღარ მოუჭრიან გზას.

ხარბინი, 3 ოქტომბერი, საგანგებო მატარებლით დაბრუნდა არმიიდან მისი უდიდებულესობის ნამესტნიკი.

ტოკიო, 2 ოქტომბერი („რეიტერი“). გუშინ შუადღისას გაგრძელდა გამწვავებული ბრძოლა. საღამოს მიღებულ მოხსენებიდან სჩანს რომ ოკუმ ხელში ჩაიგდო 10 ზარბაზანი. ბენსიხუს ახლოს ბრძოლა არ შეწყვეტილა. მოხსენებაში ნათქვამია აგრეთვე, რომ ტუმინძულინში გაგზავნილმა მაშველმა ჯარმა უკან ხევა დაიწყო.—1 სექტემბერს იაპონელთა რაზმი წინ წავიდა და გამოუდევნა რუსებს. რუსები ჩრდილოსკენ წავიდნენ და მოაწიეს ამ ადგილს. 1 ოქტომბერს დილას პრინცის კანინის რაზმა შეებრძოლა რუსებს ვოლუნსუნთან, ტაინძიხეს მარცხენა ნაპირზე. რაზმმა დაიჭირა ლიანხუანდიანშანი და სიმაღლეები ჩრდილოეთისაკენ.—1 ოქტომბერს იაპონელთა შუალი რაზმმა აიღო გომბანტუნში სიმაღლეები ჩრდილოეთის მხარეს.— იაპონელთა მარჯვენა რაზმი ფრიად ნაყოფიერად მოქმედებდა. ცენტრის არმია იუწყება, რომ 1 ოქტომბერს დაიჭირა სიმაღლეები ტონგანკოუ-ხუკაბუნხიაცის ჩრდილოეთით და ისევ მიდის.—მარცხენა არმიისაგან საბოლოო მოხსენება არ მოსულა. ბოლო დროს გურსიავოძის ახლოს რუსებზე მიტანილ იერიშის შემდეგ იაპონელებმა წაართვეს იმათ 10 ზარბაზანი. რუსებმა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ დაიწიეს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

4 ოქტომბერი

ჩიფუ, 3 ოქტომბერი. პირველ ოქტომბერს მდინარე სიაოხეთი ნავით ჩამოსულნი ამბობენ, იაპონიის ესკადრამ მდინარე იალუს შესართავთან მოიყარა თავიო.

პეტერბურგი, 4 ოქტომბერი. დეპეშა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელმაც უქვეშევრდომილესად მოახსენა დეპეშის შინაარსი ხელმწიფე იმპერატორს: „გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი მოწმობს, რომ 14 შიდა გუბერნიის ერობათა მიერ გაგზავნილი სამკურნალო სასანიტარო რაზმები თავგანწირულად და ნაყოფიერად მოქმედებდნენ მანჯურიის არმიაში და სასურველად სცნობს, გამრავლებულ იქმნას ამ რაზმებისა და რაზმებში მოსამსახურეთა რიცხვიო“.

ჩიფუ, 3 ოქტომბერი („დეილი ტელეგრაფ“). პორტ-არტურში ალიერი სროლაა. ესვრიან ყუმბარებს პორტ-არტურის სიმაგრეებს. აღმოსავლეთ და დასავლეთ პოზიციებიდან იაპონელთა ზარბაზნები ყუმბარებს უშენენ შიგნითი სიმაგრეებს. რუსის მცოდნე წრეებში ამბობენ, რომ პორტ-არტურში რამდენიმე თვის სამყოფი სურსათიაო. საშიშოდ მიაჩნიათ მხოლოდ ის, რომ ახალი სურსათი ნაკლებად არის. ამბობენ, თუ ბალტიის ესკადრა ვერ შესძლებს ციხის განთავისუფლებას, იგი იაპონიის ფლოტს პორტ-არტურს მაინც გააშორებს და მაშინ გემები კონტრაბანდით ადვილად შეუვლენ ნავთ-სადგურში. რუსის აგენტები იძენენ ბევრს გემებს აღმოსავლეთის ნავთ-სადგურებში, ყიდულობენ დიდ-ძალ სურსათს და სომხარ მასალის.

გიეოთ მაწერილი—ორ-სამ საათში სულ ოთლად შეგვქმდა ბოქაულის ათასი მოთხოვნილების ასრულება... ახლა, რო დაგვიბარებს, სამ-ოთხი დღე უნდა გაგვიცდეს მუშა ხალხს და, ეგება, არც-კი დაგვიხვდეს ბოქაული—ჩვენს მეტი საქმე არა აქვს თუ—და მეორედ, მესამედ, მეოთხედაც მოგვკითხავენ და ამდენი დღის გაცდენა რად ღირს მუშა კაცისათვის—თანგარიშეთ—სხვა ხარჯით რო ჩავგდოთ ასე შორე გზის. ამნაირი ჩვენი მაწერილობა ასე შორს საბოქაულოზე არც „კალონს“ უხდება, არც ბატონებსა და არც ჩვენ, მარა...

მაგრამ ამისთანა განაწილება და განწყობილება, რამდენიც ახლად გასანაწილებელი და უკაიდ განსაყოფელი, ამას რო ჩამოვყვე—როდის მოვთვლი.

სოფელსა და მის განსაცდელზე ისე არავინ აპანტურებს ყურებს, როგორც პორტ-არტურში გასროლილი ყუმბარა თვალებს ვერ დამახუჭვინებს ოკრობაში. ვლხებით, გხმებით და, აბა, თუ ვინმე გაგვიკითხავს. ღმერთმანი, გხმებით! ჩვენი გახმობა რაა, ხე-ტყე რო გვიხმება. მერე რა ტყე—წაბლნარი!

აგერ შვიდ-რვა წელიწადია—ეს ძვირფასი საშენებელი მასალა ხელიდან გვეცლება. თავიდან ნელ-ნელა შეუყვა, თითო ორ-ორი ხე გახმა აგერ-მეგერ, და დღეს-დღეობით მთელი წაბლის ტყეებია ერთიანად ამომხმარი ოკრიბის მხარეზე. გული მოგიკვდება კაცს, როცა გახედავ თითქოს ცეცხლისაგან არუჯულს ვეება წაბლებს. აგერ სხვა ჯარე მცენარეები, იქვე წაბლნარში მშვენივრად ლურჯად არიან შეფოთლილნი და ეს ძვირფასი წაბლები კი ატრუსული და აფუჩხული. ახლა კიდე ნიგვზის ხეებსაც გამოუარა ამ უბედურობამ—ესენიც ქვიხმება.

იმ... თვალი გვეცა, მარა ვინ შეგვხედა ასე უკუღმართის თვალით?.. კი, ბატონო, ნამდვილად. უბედურს ჩვენს ქვეყანას იმდენი უძახეს—სამოთხეა, სამოთხეო, თაიგულია, ვარდის კონაო, რომ თვალ-ნაკრავი შევიქენით—ვხმებით და გამხმარი თაიგული რაღა სახმარია... სული თუ არ შეგვრჩება—აღარც შნო გვექნება და აღარც სუნი.

შეძახება ხესაც კაახმობსო,—უთქვამთ—შესძახეს, ეც თვალი და ხმება. ჩვენც თვალ-ნაკრავი ვართ, არ უნდა ამას ბევრი ჩიჩინი.

თვალ-ნაკრავი ვართ და მიტომაცა: სტუდენტი სტუდენტურად არ იქცევა; მანდილოსანი (თუ და არიან სადმე) ისე არ იჟღებიან, ვითარცა მანდილით მოსილთ შეჰფერის, ადვოკატი, ატუნკატობს, მედა-კატობს, ჩინოვნიკი—არ იქცევა როგორც რიგი. ერი, ბერი, ვისაც აქვს დიდი წვერი, პატარა და დიდი—ყველა ფლიდი, აღარ არავინ მისდევს, ყველა თავისკენ იქაჩება... გამოლოცვა გვჭირია.

გამოლოცვა გვინდა, და ერთი მოხუცებული გადია მყავს, ვკებ ამის გამოლოცვა წაგვადგეს. წიწილები აუწიაქდება—თვალ-ნაკრავია, ბატონო, გამოიძახა ვიღამაცო. ჩაუჯდება და ჰბუტუნებს: „იჯდა, დედა მარიამ სამოთხის კარსა, ქსელსა ქსოვდა ძოწეულისა. ჩამოიარა ვირა ქეთერმა, შეერბა, შეთვალა. აუშალა ქსელი ძოწეულისანი, მკლავნი ალვისანი და დაჯდა დედა მარიამ, ტირის. შემოესწრო მიქელ გაბრიელ თავარ-ანგელოზი: რას ტირი, დედა მარიამ. რადა რას ვტირი,- გამოიარა ვირა ქეთერმა, შემოთვალა, შემუბარა, შემაკრძნეულა, ამიშალა ქსელი ძოწეულისანი, მკლავნი ალვისანი. ნუ სტირი. დედა მარიამ, დასწყევლოს სამას-სამოც-და ხუთმა წმ. გიორგიმ შენი ავის თვალით მომხედავი. შენს ავის თვალით მომზერალს ავსერავ-დავსერავ შავტარიანის დანით, ჩავუდგამ ქვაბსა რვალისასა, მივუგამ ცეცხლსა ალისასა, ამოვკრავ ბარსა ნახშისა, წავატან ქარსა ნავსა... მისი სვას, მისი სჭამოს, მისი მეიხუთშაბათოს—შენ ჯვარი დაგწეროს“.

მორჩა წიწილები წაიქცა

ქორმა წაართვა წიწილა იგვნესებს, იქაჩნებს ერთს ხანს და ჩაუჯდება ბუტუნს: „ეგენია ბეგენია, ბერსა ხატი ესვენია, ღმერთო-ღმერთო განოშუშე ხიბორკალი რკინისა. ნადირს პირი შეუკარი, მეკობრეს ხელ-მხარი, ჩააჯდე ზღვას, ნუ აუშვებ გზას“.. ამასთან საკეცებს, ან მაკრატელს შეკრავს თოკით:—ასე შევკრას ქორისაც კლდინეში და ნისკარტი.

ეს გამოლოცვები რო გამახსენდა, მიტომაც მივმართე ჩემს მოხუცებულს გადიას და გთხოვე,—იქმნება, დილგარდისა, რამე კაი მაგარი და დიდი გამოლოცვა იცი,—ვეჯანა მეგულება, ბება, თვალ-ნაკრავი, ე ხე-ტყეებც რო გვიხმება—ამათ წაადგეს რამე იქნება?

— მეცანი, განა. არა, რადის ბრძანებით გადაღული სწორედ... აბა რამ დაგვგვალვათ და დაგანიავათ ასე. ბაბუა და მამა თქვენები თქვენ ჰგავდნენ სწორედ ახოვნობით და ვაჟ-კაცობით. შენ რო ხარ ახლა, ასე, შუა ტანის კაცს გეძახიან და მაშინდელ დროს ყველა ჯუჯას, დამხრჩვალს დაგიძახებდა. ის ჩემი სული ცხონდა სააქაოს, როგორც თქვენ თვალ-ნაკრავი და გადაღული იყოთ მაგნესაკენ. რატომ არ გწამთ, შვილო. თქვენ თვალ-ნაკრაობა და მდაბლადობა?

— არა, თქვენი მღადავებისა, კუდიანების და გამოლოცვის რა მოგახსენო, გადია, და თვალი რო უწერის ბევრ კაცს, ეს კი..

— ჰოო, ხო გაგიგონია, შვილო.. ბიძა შენი არ იყო, ქვას გახეთქავდა, რო უნებურად შეეხედა და ჯვარი არ დაეწერა. ერთხელ, შენ ბაბუა იყავი მაშინ, მოვიდა ჩვენსას. ცხონებული ჩემი დიდი ქალბატონი იხვებს აშურებდა... „გრაინდის“ იხვები გვყავდა—მათ შეხედვას არაფერი ჯობდა. უცბად აგერ აკოტრიალდა ერთი, მეორე, მესამე, მეხუთე... ემ! დალახვროს ღმერთმა შენი ავის თვალით შემხედავიო, სთქვა ქალბატონმა და მიიხედ-მოიხედა. აივანზე გადმომდგარიყო ბიძა-შენი და იცინოდა ულვაშებში. ჯვარი დასწერე, ჯვარი დასწერე, ჩამოდი ახლავე, მიაძახა ქალბატონმა. ჩამოვიდა ბიძა შენი, გადუსვა ხელი ამ აკოტრიალებულ იხვებს და ყველა წამობურბუსდა... ეს არ გახსოვს შენ? ბიძა შენს აივნის სვეტზე ერთი გახვრეტილი ქვა ეკიდა. დილაზე, რო ადგებოდა, პირველად მუშტრის თვალით იმ ქვისთვის უნდა შეეხედა, იმაზე მოიკლავდა თავის თვალების გამდაღავ ძალას...

ვაი, ჩემი ზემორე გამოთქმული იმედები, თუ მართლა თვალნაკრავი და გადაღული ვართ! აგი არ წამიგვეთა უარესად სისხო გადია ჩემის სიტყვებმა. სად ვეძებოთ მერე ვინც გაგვდალა და უნდა გვქონდეს იმედი, რო კიდეც მოვაკვლიოთ—გადაგვსახავს ჯვარს?... ტყუილი იმედია... ისევ ჩვენ თვითონ შევადგინოთ კაი მაგარი, მაგარი გამოლოცვა, ვახსენოთ უფალი, პირჯვარი გადვისახოთ და.... მოაწია შემოდგომა.

ვააჰ! ნეტავი თუ რომელიმე დრო წელიწადისა შეედარის შემოდგომას? ახალი გაზაფხულიათ ვითომ, მარა ამას სულ სხვა ხალხისათვის აქვს თავის სილამაზით მომხიბლველობა. კაია კი გაზაფხულიც: ყველაფერი იღვიძებს, ბუნება ჰყვავს, ფრინველებიც იმღერიან, მარა რა შუაშია ეს ყველაფერი მუშა ხალხისათვის, რაში ეპიტნავება? მისი გამღვიძებელი, ამუსაუბებელი, დამუსაუბებელი და უცხო ხმების დამმღერებელიც შემოდგომაა. რა იმისთანა დალბათი მუშა უნდა იყოს, რო შემოდგომამ არ გამოაცოცხლოს. თელად სოფელი ჭიანჭველასავით მოდებულია ყანებსა და ვენახებში... მუშაობს ყველა: დიდი, პატარა, მოხუცი, ბიჭუნები, გოგონები.... ყველას საქმე აქვს. სდუღს სიცოცხლე...

ვიიჰ! შემოდგომა სოფლად! სამოთხეა... ორფეხი ოთხფეხი, ჩიტი, ჭიანჭველა—ყოველი მაძღარია... მერე გემოს არ ბრძანებთ... სულ სხვა გემო აქვს ყველაფერს...

მაგრამ როდემდის.. კარზე გვადგია ზამთარი... ანჩხლი, მერალი, აფთარი! რა მალე ჩაგვამწარებს ტკბილს შემოდგომს!..

დიდება განგებას! რატომაა, რო თაფლს ძიმწარე მოჰყვება ხოლმე? ბუნების „კალონი“ ვერაა კარგად განწესრიგებული... რა დაუშავდებოდა იმ დალოცვილს ერთხანს ეცდია და შემოდგომის სიტკბოებისათვის ზამთრის შხამი ზედვე არ მოეყოლებია, რა დაუშავდებოდა—ტკბილს შემოდგომას ლამაზი გაზაფხული მოჰყოლოდა?..

ვაი უშველებელო, გბოდავ, მგონი? თვალ-ნაკრავი თუ ვარ?! გამომილოცე, გადია!..

ჯიბილა

შანხაი, 3 ოქტომბერი („დეილი ტელეგრაფი"). როგორც შეკრებილ ცნობებიდანა სჩანს, გასაკვირველი არაფერი იქმნება, თუ იაპონია ომს განაგრძობს ზამთარში და მუკდენს ზევით, ჩრდილოეთისაკენ წავა.

ტოკიო, 2 ოქტომბერი. მარშალი ოიამა მარჯვენა არმიის (გენ. კუროკის არმიის) მოქმედების ამბავს იუწყება, სხვა-და-სხვა რაზმებიდან გაგზავნილი კოლონა (რაზმი) 1 ოქტომბერს დილით ძიადოუს მივიდა, პრინც კანინის რაზმი 1 ოქტომბერს გათენების ხანს მტერს შეებრძოლა ულუნსანს ახლო, ტაიძიხეს მარცხენა ნაპირას, იმ რუსის რაზმმა, რომელმაც ჩვენზე იერიში მოიტანა ბენსიხუსა და ტუმენძილინს შუა, უკან დაიხია 1 ოქტომბერს დილის 11 საათზე და ჩვენი რაზმი თან დაედევნა. მარჯვენა არმიის მარჯვენა რაზმი, რომელსაც 30 სექტემბერს ღამით მაშველი ჯარი მიუვიდა, მედგრად იცავდა თავის პოზიციებს ჩაუსანლინთან უფრო ძლიერ რუსის რაზმის წინააღმდეგ. ამავ არმიის მარცხენა რაზმმა 1 ოქტომბერს დილის 7 საათზე ლანხუანიანი და იმის ჩრდილოეთით ყველა სიმაღლე დაიჭირა. შუა რაზმმა 30 სექტემბერს ღამით ლანხუანიანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით სიმაღლეები აიღო. მარცხენა რაზმის მოწინავე ჯარმა 1 ოქტომბერს დილის 9 საათზე სიგუშანის სიმაღლეები აიღო. მარჯვენა არმიის მოქმედება ეხლა უფრო კარგად მიდის, შუა არმიამ (გენ. ნოძუს არმიამ) ოქტომბერს დილით ყველა სიმაღლე დაიჭირა ტუნშაგუსა, სუძიასა და ვუშიფსუს ჩრდილოეთით და იერიში მიიტანა რუსებზე. მარცხენა არმიიდან (გენ. ოკუს არმიიდან) სწორე მოხსენება არ მოსულა; მხოლოდ შემდეგ ცნობების მოწერა შემიძლიან: მარცხენა არმიის მარჯვენა რაზმის უმთავრესმა ნაწილმა 1 ოქტომბერს დილის 11 საათზე სიმაღლეები აიღო უანგუანდიანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით; შუა რაზმმა 1 ოქტომბერს დილის 7 საათზე სიმაღლეები დაიჭირა შახეპუს სამხრეთით; ამ რაზმის ნაწილმა იერიში მიიტანა რუსის ქვეითა ჯარზე უიშიდაძისაან და 10 ზარბაზანი წაართო; რუსებმა უწესრიგოდ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ დაიხიეს. 1 ოქტომბერს დილით ხუთი როტა რუსის ქვეითა ჯარი ლიანშანიუსა და დალინშოუს შუა იდგა პოზიციებზე, ერთი როტა მაფაინძიტუს ახლო. მარცხენა არმიის მარცხენა რაზმი ამ პოზიციებზე იერიშის მისატანად ემზადება. 1 ოქტომბერს დილით ორმა ბატალიონმა რუსის ქვეითა ჯარმა და ერთმა ბატარეამ იერიში მოიტანეს ჩვენის მარცხენა რაზმის ნაწილზე უნძიანტუნძის ახლო, მაგრამ ჩვენებმა უკუაგდეს.

პეკინი, 3 ოქტომბერი („ტაიმსი"). ევროპის პრესაში გავრცელებულ იმ ცნობების გამო, ვითომ ჩვენში ამბოხება იყოს, აქ ამბობენ, გუანსის პროვინციაში მართლაც არის ამბოხება; მაგრამ ნაკლებად სჯერათ ის ამბავი, ვითომ ჩრდილოეთ პროვინციებშიაც მოძრაობა იყოს. მხოლოდ ერთ პატარა ადგილზე, ხონანისა და ჯილის პროვინციების საზღვარზე, მოქმედებს საიდუმლო საზოგადოება „ცაიტუნი", რომელიც დინასტიისა და ევროპიელთა წინააღმდეგია. ეს საზოგადოება აწუხებს მისსიონერებსა და პეკინ-ხანკოუს რკინის გზის უცხოელ მოსამსახურეებს.

შანხაი, 3 ოქტომბერი („დეილი ტელეგრაფი"). მოძრაობას უცხოელთა მიმართ დროებითი ხასიათი აქვს. იგი აიხსნება ხალხის აღელვებით იმ დღესასწაულების დროს, რომელიც გაიმართა ჰირნახულის მოვლის შემდეგ. ინგლისელებსა და ამერიკელებს კარგად უხვდებიან ჩინელები. ბევრგან მცხოვრებნი თანაგრძნობით ეპყრობიან იაპონელებს. გენერალი მა სახტიკად იცავს ნეიტრალიტეტს. ჯარი კარგადა ჰყავს გაწვრთნილი. გენერალ მას აქვს მაუზერისა და მანლიხერის სისტემის 20 ათასი თოფი და 50 დიდი ზარბაზანი აქვს.

პეტერბურგი. გენერალის სახაროვის დეპეშები მთავარ შტაბს: 1) 3 ოქტომბერი ღამის პირველი საათი და 40 წუთი: „2 ოქტომბერს, ნაშუადღევს, იაპონელები უფრო მხნედ მოქმედებდნენ ჩვენის ჯარის მარჯვენა ფრთის წინააღმდეგ. ჩვენ ვცადეთ წინ წაწევა და სოფელ ლინშინპუს აღება, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. იაპონელებს ჩვენი ჯარის ცენტრზე იერიში არ მიუტანიათ და და მხოლოდ ზარბაზნებს ესროდნენ. საერთოდ ამ დღემ შედარებით ურიგოდ არ ჩაიარა. ზარალი დიდი არ უნდა იყოს". 2) 3 ოქტომბერი, ნაშუადღევის 9 საათი და 15 წუთი: „3 ოქტომბერს, ღამე, იაპონელებმა იერიში მიიტანეს ეგრედ წოდებულ ხეან სოპკაზე, სოფელ ხანჩინძის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. ამ ადგილას ორი ჩვენი პოლკი იდგა. იაპონელებმა აიძულეს ეს პოლკი, უკან დახეულიყვნენ და გადასულიყვნენ მდ. შახეს, რომელიც სოპკას მახლობლად ჩაუდის. ჩვენ პოლკებს ახალი ჯარი მივაშველეთ. ზარბაზნების სროლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა შტურმი მიიტანა ამ სოპკაზე, ცხარე ხელ-ჩართულ ბრძოლის შემდეგ აიღო იგი და სდია დიდ-მანძილზე იაპონელებს. ჩვენის ჯარის მარჯვენა ფრთეზე ზარბაზნების ცხარე სროლა ასტყდა. ნაშუადღევს იაპონელთა ბატარეებმა ყუმბარები დაუშინეს ჩვენ ჯარს". 3) „4 ოქტომბერმა წყნარად ჩაიარა. გუშინ სოპკის შტურმის დროს იაპონელებს ძლიერი პოზიცია ეჭირათ. ვერ გამოვირკვიეთ მტრის ჯარის რაოდენობა, მაგრამ ბლომად კი უნდა ყოფილიყო, რადგან დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია. ზარბაზნების სროლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა შტურმი მიიტანა სოპკაზე, აიღო პოზიცია და სდია მტერს და ორის ვერსის მანძილზე წაიწია წინ. ბრძოლა დასრულდა დღეს დილით. იაპონელები საოცრად მხნედ იცავდნენ თავს. საქმე შტიკებამდე მივიდა. ბევრი იაპონელი ამოჟლიტეს სანგრებში. ბრძოლის დროს ხელთ ჩავიგდეთ 11 ზარბაზანი და ერთი ტყვიის მტყორცნელი. ჩვენი ჯარი მამაცად მოქმედებდა. ზარალი ჯერ არ არის გამორკვეული. ამ ჟამად, დილის 8 საათზე, ყველა ჩვენ პოზიციებზე სუსტი სროლაა ზარბაზნებისა. ჯარი ძალიან დაიღალა, მაგრამ მხნედ არის."

ტოკიო, 2 ოქტომბერი. ოიამა იუწყება: „1 ოქტომბერს საღამოთი რუსის ჯარს შევატყეთ მზადება უკან დასაწევად. რუსები აპირობდნენ ტუმანძულინის ველში წასვლას. ბენსიხუში მყოფი ჩვენი რაზმი ორად გაიყო და დევნა დაუწყო რუსებს ჩრდილოეთისკენ პინიულუპუმდე. რუსებმა თხრილები გამართეს. მარჯვენა არმიის მარჯვენა და ცენტრის რაზმებმა განდევნეს მტერი ყველგან და სდევნეს მდინარე შახემდე. მარჯვენა არმიის ზურგის ჯარმა სდევნა მტერი ჩაიტაშანამდე. 1 ოქტომბერს დილით ცენტრის არმიამ უკუაგდო რუსის ჯარი მოწინავე პოზიციებიდან, რუსებმა დაიხიეს შახეს ჩრდილოეთისკენ. მარცხენა არმიის მარჯვენა რაზმმა 1 ოქტომბერს ნაშუადღევის პირველ საათზე დაიჭირა ვანბულიატუნი. შუალა რაზმმა აიღო იერიშით სიმაღლეები შახეპუს სამხრეთით, მარჯვენა და შუალა რაზმების ნაწილმა ნაშუადღევის 4 საათზე იერიში მიიტანა სოფელ ლინსინპუნზე, რომელიც შახეს ნაპირზე მდებარეობს, რკინის გზის დასავლეთით. ცხარე ხელ-ჩართულ ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა აიღო ლინსინპუ და უკუაგდო რუსის პოლკი და ორი ბატარეა. რუსებმა სუფანტაოსაკენ დაიხიეს. მარცხენა რაზმმა 1 ოქტომბერს საღამოთი მოიგერია რამდენიმე კონტრი იერიში რუსებისა. ეს იერიშები რუსებმა მიიტანეს შანლიანპუზე, შახეს მარჯვენა ნაპირზე. რუსებს ამ ადგილას ჰყავდათ 4 პოლკი ქვეითა ჯარისა და ერთი საარტილერიო ბრიგადა.

ჩიფუ, 3 ოქტომბერი („დეილი მეილ"). ამერიკის საზღვაო აფიცრები ჰფიქრობენ, რომ თუ პორტ-არტური იაპონელებმა აიღეს, იაპონელების ფლოტი უთუოდ ფორმოზის წყლებში წავა და იქ დაუცდის ბალტიის ესკადრის მოსვლას. იაპონელები ფიქრობენ, ესკადრების შეტაკება ჩილის ყურეში მოხდებაო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

3 ოქტომბერი

სტამბოლი, 3 ოქტომბერი. ოსმალეთის გაზეთები იუწყებიან: „გამოცემულია ირადე—ბძანება—იმის შესახებ, რომ გაგზავნილ იქნას კომისია ბაღდადის რკინის გზის კონია-ერეგლის ნაწილის ჩაბარებაზე დასასწრებლად".

იასსა. სამეფო ოჯახი რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის დელეგატებით დაესწრო წმ. ნიკოლოზის ეკლესიის კურთხევას. საუზმის დროს მეფემ განაცხადა: გსვამ სადღეგრძელოს მის უდიდებულესობის რუსეთის იმპერატორის და მის უდიდებულესობის, ავსტრიის იმპერატორისათ".

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 2 ოქტომბერი.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,87 1/2
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,35
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,52 1/2
ბირჟის დისკონტი	6-7 1/2%
4% სახელმწიფო რენტა	91 7/8 გაყ
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4 1/2% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89 1/4 „
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	410
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	313 „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	265 „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4 1/2% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4 1/2% გირავ. ფურც. მავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	237 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილით 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. (2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 4 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპანამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

განცხადებანი



СѢДЕЛЬН.
СПЕЦIАЛЬН.
Безъ конкуренцiи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხეილოვის პრ., სახლი აკოფოვის, № 92, საზაფხულო [illegible] ახლოს. (წ.—176—60)

ახალი გახსნილი
სასტუმრო **არკადია** ნომრებით
(ყოფილი „იალტა")
მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქროს მედლების ქუჩ. კუთხეზ. სადილი ორი თავით, [illegible] არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უასპეზლებოთ და უყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. ევროპიულად იაფად და [illegible] აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ. (88—52—58)

პ. ი. ავსარქისოვის
სანერგე ყიდის საზღვარ-გარეთის, რუსეთის და კავკასიის ჯიშის ხეხილს ადრესი **სად. ხარა** (ამიერ კავ. რკინ. გზა). **ავსარქისოვს.** დაწვრილებითი კატალოგები და პრეისკურანტები რუსულად და ქართულად უფასოთ ეგზავნებათ. (10—301—4)

№ 4711
CAPTOL
„კაპტოლი"
საუკეთესო წყალი
თმისათვის
კარგია თავის კანის გასაწმენდათ, გასაგრილებლად და ნერვების გასაცოცხლებლად. განსაკუთრებით კარგია თავის კანის ქერტლისა და იმისაგან წარმომდგარ [illegible] წინააღმდეგ. თმას ამაგრებს და დაცვენას უშლის; მომზადებულია ელბერფელდელ ქიმის ი. ეიხჰოფის სისტემით.
„კაპტოლი" არ არის საიდუმლო წამალი.
ერთად ერთი ფაბრიკანტი
ფერდ. მიულჰენსი
კელნ. და რიგა.
მის უდიდებულესობის სასახლისათვის სხვა-და-სხვა მალის დამამზადებელი.
(6—მც.—1)

ამიერ-კავკასიის რკინის გზის
გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ 9 ნოემბრისათვის 1904 წელს, შუადღის 12 საათზე, გამგეობის სადგომში ტფილისს, ელისაბედის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, დანიშნულია კონკურენცია ქვემოდ ჩამოთვლილ ხე-ტყის მასალის მისაწოდებლად რკინის გზისთვის. მსურველთ უნდა შეიტანონ განცხადებანი დაბეჭდილ კონვერტებით და ამ გვარის წარწერით: „Въ Совѣтъ Управленія Закавказскихъ желѣзныхъ дорогъ. Заявленіе цѣнъ на поставку (такихъ-то) матеріаловъ на конкуренцію, такого мѣсяца и числа 1904 года." მასალა:
სხვა-და-სხვა ხის შპალები:

განიერ ლიანდაგისთვის . . .	442,000 ცალამდე.
ვიწრო „	60,000 „
სხვა-და-სხვა სიგრძის ძელები	293 კომპლექტი
სხვა-და-სხვა ხის შეშა	8,000 კუბ. საჟ.
სატელეგრაფო ბოძები.	44 ცალი.
მორები მუხისა სხვა-და-სხვა ზომ.	76,000 კუბ. ფუტი
„ ნაძვისა, ფიჭვისა და სოჭისა. წვრილი და რგვალი	4,000 ცალი
„ ნაძვისა, ფიჭვისა, სოჭისა, თხმელასი და სხვისა	65,000 კუბ. ფუტი.
ძელები სხვა-და-სხვა ხისა .	130,000 „ „
ფოშტა ნაძვისა, ფიჭვისა და სხ.	40,000 სიგრ. საჟ.
ფიცრები და რეიკები სხ.-და-სხ.	88,500 ოთხკ. ფუტი

კონდიციებისა, წესებისა და სატეხნიკო პირობების შესახებ დაწვრილებით ცნობების გასაგებად მსურველმა უნდა მიჰმართოს ფოსტით ან პირადად ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 12-დან 2 საათამდე, „მატერიალნი სლუჟბას", რომელიც რკინის გზის იმავე სახლშია მოთავსებული. (3—ნ.—1)

ექიმის ზაინდლერ-ბარნაის
„მარიენბადის რედუქციური აბები"
სიმსუქნის
წინააღმდეგ
და საუკეთესო სასაქმებელი საშუალება
თითო კოლოფში ჩალაგებულია 60 აბი.
✦ კოლოფები წითელ ფერისაა ✦
დართული აქვს აღწერა იმისა, თუ როგორ უნდა მოიხმაროთ საშუალება, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.
იყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა და საფთიაქო მაღაზიებში. (პ. 0—10)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო-დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, ეშმაბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ახალი საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული"
სურათებით
გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის
თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.
წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.
ჟურნალის პროგრამა:
1) მოთხრობანი და ლექსები; 2) ისტორიული და სამეცნიერო პოპულიარული წერილები, ბიოგრაფიები, მოგზაურობა; 3) აღმოჩენათა და მოგონებათა ქრონიკა; 4) ნარევი: მოსწრებული სიტყვა-პასუხი და ანეგდოტები. 5) სათამაშონი, გასართობი; რებუსები, ამოცანები, შარადა, გამოცანები, საყმაწვილო კარრიკატურები და სხვ.; 6) პედაგოგიური წერილები; 7) მკითხველთა წერილები; 8) ფოსტის ყუთი და 9) განცხადებანი.
ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან.
გამომცემელი ჟურნალისა კნ. ნინო ი. ქობულაშვილი. რედაქტორები { კნ. ელ. დ. ერისთავისა. ნინო ნიკ. ზურაბიშვილი.
რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი
ხელის მოწერა მიიღება:
რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ." კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.
(ზ. 0—10) ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакцiя журнала „НАКАДУЛИ".

[illegible] მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

კალოშებისა
და რეზინის სხვა საქონლისათვის
უდიდესი ჯილდო
Grand prix)
პარიზის გამოფენაზე
მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
რუსეთ-ამერიკის
რეზინის მანუფაქტურისას
ს.-პეტერბურგში,
დაარსებულს 1860 წელს

1860
С.-ПЕТЕРБУРГЪ

რეზინის კალოშების ყიდვის დროს ხახვეწთ ყურადღება მიაქციოთ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წლისთვის „1860" და ხატზედ „С.-Петербургъ" წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანი).
ნაღდათ ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი
„ლეოპოლდ ნეიშელლერი"
პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, [illegible], ტაშკენტში. და ტფილისს
(60—51)

Дозв. цензурою, 4 октября 1904 г.
ელექტრონის სტამბა „წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ბა".
Электроп. „Груз. Изд. Т—ва".